ათდება, რაც ადასტურებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას შესაქმის შესახებ, იმას რომ ჩვენი გრძნობადი სამყარო ღმერთმა შექმნა.

საზოგადოების შემდეგი სხდომა 17 იანვარს 15 სთ-ზე თბილისის სასულიერო აკადემიაში შედგება. სხდომაზე განხილული იქნება ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ძოწენიძის მოხსენება „მართლმადიდებლობა და ევოლუციური მოძღვრება“.

დასწრება თავისუფალია.

## „საშობაო საუბრები“

10 იანვარს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერ და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „საშობაო საუბრები“.

კონფერენციაზე წარმოადგინეს შემდეგი თემები: შობა-ახალი წლის თარიღი - მომხსენებელი დეკანოზი ბიძინა გუნია, შობის ეპოქა და ისტორიული რეალობები - მომხსენებელი ზაზა გაბუნია, შობის ხატის იკონოგრაფია - მომხსენებელი ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი ნანა ბურჭულაძე, საშობაო-საახალწლო ტრადიციები - მომხსენებელი გიორგი ჩაკვეტაძე, რომანოზ მელოდოსის საშობაო საგალობლები - პროფესორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი.

კონფერენციის შემდეგ მოეწყო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.

კონფერენციას დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი).

## გამრავლება დაგვედებოდეს

შობის ღამეს პირველი ახალშობილი საქართველოში წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში დაიბადა. პატარა ანა ყუფარაშვილმა დიდი სიხარული მოუტანა დედას, რომელიც რვა წელიწადი ელოდებოდა შვილის დაბადებას.

პირველის ორ წუთზე დაბადებული პატარა ანას სანახავად უკვე დილის ოთხ საათზე სამშობიარო სახლში მოვიდნენ ჯანდაცვის მინისტრი ბატონი ლადო ჭიპაშვილი მეუღლითურთ, გერმანიის ელჩი ქალბატონი პატრიცია ფლორი, ბადრი პატარკაციშვილის ფონდის ხელმძღვანელი ბატონი პაატა ჩახნაშვილი, ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „ეტალონის“ მონაწილენი და სხვები. მათ საჩუქრები გადასცეს დედა-შვილს.

„ღვთისმშობელს ვთხოვდი, შვილი რომ მოეცა და აღთქმაც დავდე, ღვთისმშობლის დედის სახელს დავარქმევთქო, - განაცხადა დედამ ციცია მამუკიშვილმა, – უფალმა შეისმინა და სწორედ აქ, ღვთისმშობლის მშობლების - წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში მომიყვანა“.

## საქართველოს ეკლესიის ისტორია ინგლისურ ენაზე




4 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ახალი წიგნის პრეზენტაცია შედგა. ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოიცა საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია 1811 წლიდან დღემდე. წიგნი გამოიცა საქართველო-შვეიცარიის მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებლის ლუკას ვიშერის ხელშეწყობითა და ინიციატივით. ნაშრომის ავტორებია ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ბუბულაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გოჩა საითიძე და ეთნოლოგი ნინო აბაშიძე. წიგნის რედაქტორებია: თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლუკას ვიშერი, ბერნის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მარტინ გეორგენი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ გრძელიძე.

ამ წიგნის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე საქართველოს ეკლესიის ახალი ეპოქის ისტორია არ გამოცემულა არცერთ უცხოურ ენაზე. არსებობს საქართველოს ეკლესიის ისტორია, გამოცემული ფრანგულად მიხეილ თამარაშვილის მიერ, ასევე თარგმნილია პლატონ იოსელიანის ეკლესიის ისტორია ინგლისურ ენაზე და 1912 წელს ინგლისელი მეცნიერის, ბატონ დოულინგის მიერ გამოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია. ამჟამად მათ რიცხვს შეემატა საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია.

გარდა იმისა, რომ წიგნი ხელმისაწვდომი გახდა უცხოელი მკითხველისათვის, მისი შეძენა შესაძლებელია საქართველოშიც.

## ეპისკოპოსად ხელდასხმა

31 დეკემბერს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმინდა სინოდის წევრებთან ერთად ეპისკოპოსად დაასხა ხელი ქოზიფას მამათა მონასტრის წინამძღვარ, არქიმანდრიტ ეფრემს (გამრეკელიძე).

ეპისკოპოსი ეფრემი დაინიშნა ბოლნისის ეპარქიის მმართველად.

ღმერთი შეეწიოს ახლადნაკურთხ მღვდელმთავარს მსახურებაში!

•

## ბერად აღკვეცა

30 დეკემბერს მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) უბისის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები მირიან გოცაძე, რომელსაც ეწოდა მაკარი და ლევან ბუქსიანიძე, რომელსაც ეწოდა პახუმი.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ქვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

უროლოგი - 13 იანვარი, 12.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - 13 იანვარი, 14.00-15.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი - პაატა ლუდუშაური – 14 იანვარი, 12.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი, ეპილეფტოლოგი, ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვა) - 14 იანვარი,

## ქრონიკა. ინფორმაცია

### „ალილო“ ფშავში

შობის დღესასწაულზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ფშავის სოფელ მაღაროსკარში, თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტების მიერ აღდგენილ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა შესრულდა. ეს ტაძარი ისტორიაში ცნობილია იმით, რომ აქ მოღვაწეობდა ვაჟა-ფშაველას მამა - მღვდელი პავლე რაზიკაშვილი; აქვე ვაჟა-ფშაველამ ფშავლები და ხევსურები სამშობლოს ერთგულებაზე დააფიცა.



ათეული წლების განმავლობაში ტაძარი უმოქმედო იყო, ხოლო კომუნისტური რეჟიმის დროს მატყლის საწყობად გამოიყენებოდა.

სასულიერო სემინარიის სტუდენტების ძალისხმევით და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსის თადეოზის ლოცვა-კურთხევით ტაძარში მსახურება აღდგა და პირველი წირვა 2006 წლის შობის ღამეს შესრულდა. დღეს ამ ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი იოსებ ტატიშვილი. მისი მცდელობით შეკეთდა და გამშვენდა ტაძარი, თვითონ კი, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ერთგულად ემსახურება იქაურ მრევლს. მაღაროსკარის სკოლაში რელიგიის მასწავლებლად გაიგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიასთან და აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნინო მკერვალიძე.

წელს შობის წირვას ესწრებოდა სტუდენტების მიერ სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოყვანილი მოსახლეობა, ასევე სტუმრები ხევსურეთიდან და გუდამაყრიდან. წირვის შემდეგ მრევლს პატრიარქის მიერ გაგზავნილი საჩუქრები: წიგნები, ხატები, ჯვრები დაურიგდა. აღდგა მრავალი წლის განმავლობაში მივიწყებული ტრადიცია და სტუდენტებმა მრევლთან ერთად ფშავის სოფლებში საზეიმო მსვლელობითა და საგალობლებით მიულოცეს ხალხს ქრისტეს შობის დღესასწაული. მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა შობის მახარობლებს. საზეიმო მსვლელობა საზეიმო ტრაპეზით დასრულდა.

### ქართული ხელნაწერი სამშობლოში დაბრუნდა!

11 იანვარს X საუკუნის უნიკალური ხელნაწერი ჯრუჭი I საქართველოში დაბრუნდა.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ხელნაწერი ამერიკის შეერთებული შტატებში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე მოხვდა. 2006 წლის 21 ოქტომბრიდან 2007 წლის 7 იანვრამდე ხელნაწერი საკლერის გალერეაში იყო გამოფენილი და მან დამთვალიერებელთა, ხელოვნებათმცოდნეთა და ექსპერტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენაზე მთელი მსოფლიოდან იყო თავმოყრილი I ათასწლეულის ბიბლიები, ადგილობრივი გამოკითხვით, ყველაზე საინტერესო ქართული ხელნაწერი აღმოჩნდა.

### მილოცვა



საპატრიარქოს პრესცენტრი გულითადად ულოცავს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯი მონასტრის მღვდელმსახურს, დეკანოზ გრიგოლ ქუმელაშვილს 50 წლის იუბილეს.

### ბერად აღკვეცა



28 დეკემბერს კრწანისის წმინდა საბა განწმენდელის სახელობის მონასტერში არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი დავით კავსაძე და სახელად იოანე უწოდა. მამა იოანე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრაში განამწესეს.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ კუმისის წმინდა სამების სახელობის მონასტრის მონაზონ სალომეს (შერეშაშვილი) გარდაეცვალა და - ანა არველაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად გარდაცვლილი ანას სული.

### გარდაიცვალა დეკანოზი ილია კიკვაძე



დეკანოზი ილია კიკვაძე დაიბადა 1948 წლის 7 ნოემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ხომულში. 1981 წელს დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია, ხოლო 1994 წელს გელათის სასულიერო აკადემია.

1979 წლის 15 აგვისტოს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი) აკურთხა დიაკვნად, 1981 წელს მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (მახარაძე) - მღვდლად.

1982-1983 წლებში მოღვაწეობდა მოწამეთის მონასტერში.

1983 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახური.

1986 წელს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1996 წელს გამშვენიერებული ჯვრით, ხოლო 2000 წელს - მიტრით დააჯილდოვეს.

დაკრძალვა - შაბათს, 20 იანვარს, ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის ეზოში.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს დეკანოზ ილია კიკვაძის სული. მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული მოძღვარი.

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) - 18 იანვარს, 16.00-18.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი - 20 იანვარს, 15.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლძარღვთა დაავადებები) კახა ქუნთელია - 20 იანვარს, 17.00-18.00 სთ.;

ალერგოლოგი - 23 იანვარს, 16.00-17.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 24 იანვარს, 16.00-18.00 სთ.;

დერმატოლოგი - 26 იანვარს, 15.00-17.00 სთ.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***

## ქრონიკა, ინფორმაცია

### მარტვილის ეპარქიის დელეგაცია თბილისში



28 იანვარს მარტვილის ეპარქიის დელეგაცია თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის წირვას დაესწრო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ჭყონდიდის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი პეტრე (ცაავა), ეპარქიიდან ჩამოსული 11 მოძღვარი, ასევე მარტვილის რაიონის დეპუტატი ფრიდონ რუხაია, მარტვილის გამგებელი მამუკა დანელია, მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზია, ბატონი ფრიდონ ინჯია, ქალბატონი მარიამ კეკუტია, ასევე სხვა ოფიციალური პირები და 500-კაციანი მრევლი.

წირვაზე უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველს, ეპისკოპოს პეტრეს, ხოლო დეკანოზის წოდება მიანიჭა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა: მღვდელი სერაფიმე დანელია, მღვდელი გიორგი ბასილაია, მღვდელი ზოსიმე ჯიქია, მღვდელი ანდრია მელია, მღვდელი გიორგი ზარანდია, მღვდელი ეგნატი მიქაძე, მღვდელი ტარიელ რუხაძე.

წირვის შემდეგ საპატრიარქო რეზიდენციაში სტუმრები მიიღო უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. საპატრიარქოში კათოლიკოს-პატრიარქმა მარტვილის ეპარქიის კიდევ ერთი მღვდელმსახური - დეკანოზი გოჩა ცაავა გამშვენებული ჯვრით, ენქერითა და მიტრით დააჯილდოვა. მიღება საპატრიარქო რეზიდენციაში საზეიმო ტრაპეზით დასრულდა.

ამგვარი შეხვედრები უკვე ტრადიციად იქცა. მომავალში პატრიარქს ესტუმრებიან დელეგაციები სხვა ეპარქიებიდანაც.

### ტაძრის კურთხევა

ვარკეთილის II მიკრორაიონში არსებულ №178 სკოლაში გაიხსნა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. 23 იანვარს ტაძარი აკურთხა ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე).

ტაძარში იმსახურებს მღვდელი მიქაელ კირკიტაძე.

### „ნათელი ქრისტესი - საქართველოს“ II წიგნის პრეზენტაცია

24 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდში გაიმართა „ნათელი ქრისტესი - საქართველოს“ მეორე წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ: უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წიგნის შემოქმედებითი კოლექტივის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სასულიერო და საერო პირები.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ:

*„ქალბატონებო და ბატონებო, უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოგახსენოთ ყველას ამ დიდი საჩუქრისა და მობრძანებისათვის. ეს წიგნი მართლაც ამსახველია ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის, ხელოვნების, ჩვენი ეკლესიისა და სულიერების.*

*ძალიან ხშირად მეკითხებიან, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი პატრიარქობის პერიოდში, როგორ შემიძლია მე დავახასიათო ეს პერიოდი? ერთხელ გამოვთქვი ასეთი აზრი: ჩემი პატრიარქობა იყო მზიანი ღამე. ეს მზიანი ღამე გრძელდება, მაგრამ მალე გათენდება.*

*ყველას მადლობას მოგახსენებთ. ჩვენთან არს ღმერთი!“*

### წმინდა ექვთიმე აღმსარებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

2 თებერვალს საქართველოს ეკლესია იხსენიებს წმინდა ექვთიმე აღმსარებელს (კერესელიძე). ამ დღეს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სადღესასწაულო მსახურებას აღასრულებს საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თავმჯდომარე, ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). ლოცვა დაიწყება 1 თებერვალს, 17 საათზე, წირვა - 2 თებერვალს, 10 საათზე. იმავე დღეს 15 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში გაიხსნება წმინდა ექვთიმე აღმსარებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

***მისამართი: მერაბ ალექსიძის 1/3 (სპორტის სასახლესთან)***

### ხელდასხმა



28 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად ხელი დაასხა სამების ლავრის ბერ ამბროსის (მალ-



ლაკელიძე), ხოლო ფერისცვალების მონასტრის ბერ-დიაკონ აბიათარს (ქაფიანიძე) - მღვდელმონაზვნად.

### დაჯილდოება



14 იანვარს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მეორე ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა სქემარქიმანდრიტი საბა (ტელიანიდი).

* * *

28 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სხალთის მონასტრის ახლად დანიშნულ წინამძღვარს, მღვდელმონაზონ იოანეს (ცეცელიძე) იღუმენის წოდება მიანიჭა და დააჯილდოვა ოქროს ჯვრით.

* * *

28 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გრიგოლ ქუმელაშვილი გამშვენებული ჯვრითა და ენქერით დააჯილდოვა.

### კათოლიკოს-პატრიარქი ავჭალის კოლონიას ეწვია

30 იანვარს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) აკურთხა ავჭალის კოლონიაში აშენებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ახალი ტაძარი. კოლონიის ტერიტორიაზე ტაძარი სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ ბაჩანა ახალაიასა და ციხის უფროსის, ბატონ თეიმურაზ ტაბალუას აქტიური მხარდაჭერით აშენდა.

ტაძრის კურთხევის შემდეგ მიტროპოლიტმა თეოდორემ წირვა აღასრულა, რომელზეც 60-მდე პატიმარი ეზიარა.

წირვის შემდეგ ტაძარს ეწვია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მცირე პარაკლისი შეასრულა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბაჩანა ახალაიას საჩუქრად გადასცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ხატი, ხოლო ყველა პატიმარს - სახარება. შემდეგ კოლონიის ტერიტორიაზე საზეიმო ტრაპეზი გაიმართა, რომელსაც პატიმრებიც დაესწრნენ.

ახალნაკურთხ ტაძარში იმსახურებენ: მღვდელი ავთანდილ გულაშვილი, მღვდელი მალხაზ ყიფიანი და მღვდელი იაკობ ჩოჩნიძე.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის ოპერატორებს ზოია კობახიძეს მამამთილის და თეა კობახიძეს ბაბუის - შოთა კობახიძის გარდაცვალების გამო.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული შოთას სული.

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი (სისხლძარღვთა დაავადებები) კახა ქენთელია – 3 თებერვალი, 15.00-16.00 სთ.;

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) – 6 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 7 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ეპილეპტოლოგი (ეპილეფსიის სპეციალისტი) – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვა) – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ბავშვთა ნევროპათოლოგი – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი – ყოველდღე, 12.00-14.00 სთ.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***


## საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

გელათი-ბაგრატი-მოწამეთა (მეფისა ჩვენისა წმ. დავით აღმაშენებლის ხსენების დღე) 8 თებერვალი ხუთშაბათი; გასვლა 7:30 სთ; ფასი 17 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: „ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37

საეკლესიო მაღაზია „წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ.8

„სამების ლავრის მაღაზია" ელიას მთა. ფაბრიციუსის ქ. 3/2

ტრანსპორტი გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო ივერიის წინ)

იერუსალიმის წმიდა მიწა აღდგომის დღესასწაულისათვის; ფასი 1 200 $; საბუთების მიღება 10 მარტამდე;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი

ეგვიპტე 16-27 აპრილი; 1 200 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.,92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

სირაძემ, პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა, ცაგერის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ომარ ჭაბუკიანმა, გამგებელმა ვახტანგ ქერესელიძემ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოსო ქურასბედიანმა. დღესასწაული საზეიმო ტრაპეზით დასრულდა.

### საქართველო-თურქეთის საზღვარზე მონასტერი აშენდება

5 თებერვალს სოფელ სარფში, საქართველო-თურქეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიის მმართველმა, მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად მონასტრის საძირკველი აკურთხა. მამათა მონასტერი აშენდება ღულუკვათისა და პაპათში მომწყდარი ლაზი მოწამეების სახელზე. ტაძრის აშენება ითავა სამშენებლო ფირმა „ცენტრ პოინტის“ ბათუმის ფილიალმა, რომელიც მშენებლობის დასრულებას ერთ წელიწადში გეგმავს. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სიმაღლე, გუმბათის ჯვრის ჩათვლით, 17 მეტრი იქნება. სამონასტრო კომპლექსში აშენდება ქართული კოშკებიც, ბერების სენაკები, მცირე სამლოცველო. მონასტრის არქიტექტორია ბათუმისა და ქობულეთის მთავარი ხუროთმოძღვარი, ბატონი თომა ბოლქვაძე.

### ხელდასხმა

4 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს



კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდლად აკურთხა სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკვანი იოანე ბარკალაია. მღვდელი იოანე მსახურებას სიონის საპატრიარქო ტაძარში გააგრძელებს.

იმავე დღეს სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დიაკვნად დაასხა ხელი



თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს გიორგი სახვაძეს.

* * *

7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვიძე) ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვან იოანე ორმოცაძეს მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელი იოანე ლანჩხუთის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ხევისა და სტეფანწმინდის ეპისკოპოს იეგუდიელს (ტაბატაძე) გარდაეცვალა მამა - ბენიამინ ტაბატაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება შაბათს მცხეთის ჯვრის მონასტრიდან.

მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ბენიამინის სული.

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი (სისხლძარღვთა დაავადებები) კახა ქუნთელია – 10 თებერვალი, 15.00-16.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ეპილეფტოლოგი (ეპილეფსიის სპეციალისტი) – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვა) – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ბავშვთა ნევროპათოლოგი – 11 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი – 12 თებერვალი, 14.00-16.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 13 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

დერმატოლოგი მაია დათუაშვილი – 14 თებერვალი, 15.00-17.00 სთ.;

ალერგოლოგი - 16 თებერვალი, 16.00-17.00 სთ.;

უროლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31***

**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცეთ წმიდა ადგილები:**

**შიომღვიმე-მცხეთა (ღირსი მამა შიომღვიმელის ხსენების დღე) 15 თებერვალი ხუთშაბათი; გასვლა 8:30 სთ; ფასი 8 ლ.**

**იერუსალიმის წმიდა მიწა აღდგომის დღესასწაულისათვის**; ფასი1 200 $; საბუთების მიღება 10 მარტამდე;

წარმოადგენეთ: პასპორტი ახლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი

**ირანი 20 აპრილი - 5 მაისი;** 750 $;

**ეგვიპტე 16-27 აპრილი;** 1 200 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ. 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

## წიგნის პრეზენტაცია

8 თებერვალს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა წიგნის - „წმინდა დავით გარეჯელის განსასვენებელი“ პრეზენტაცია. ცამეტ ასურელ მამათაგან ერთის - წმინდა დავით გარეჯელის განსასვენებელი გარეჯის უდაბნოში, წმინდანის მიერ დაარსებულ ლავრაში მდებარეობს. წიგნში განხილულია სამონასტრო ცხოვრების დასაწყისი საქართველოში, ზოგადად ქრისტიანულ აღმოსავლეთში და დავითგარეჯის მონასტრის



მნიშვნელობა ამ საქმეში. წიგნის ავტორია პროფესორი ზაზა სხირტლაძე, თანაავტორები - ქეთევან აბაშიძე, თეიმურაზ ბერიძე, ნიკოლოზ დადიანი, ზურაბ თვალჭრელიძე, მამუკა კიკნაძე.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია), ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), დავითგარეჯის ლავრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი (ქიღლაძე), არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული), პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი ბასილ კობაძე, საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი ზურაბ ცხოვრებაძე, ბანკ „რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი ლაშა პაპაშვილი, პროფესორი ზაზა აბაშიძე, მეცნიერებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

## დაჯილდოება

11 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დეკანოზის წოდება მიანიჭა და



ოქროს ჯვრით დააჯილდოვა თბილისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი დავით ჭანტურია.

## კურთხევა

8 თებერვალს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) იეროდიაკვან ათინოგენეს (მდივანი) მღვდლად დაასხა ხელი. მამა ათინოგენე სოფელ ბალდას ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვრად იმსახურებს.



* * *

11 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერ-დიაკონ ნეოფიტეს (ურუტაძე) მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელ-მონაზონი ნეოფიტე კოჯრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში იმსახურებს.

* * *

11 თებერვალს სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის წევრს, თბილისის სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტს, ბერ ელისეს (აბრამიშვილი) ბერ-დიაკვნად დაასხა ხელი.

## განცხადება

დიდი მარხვის პირველ კვირას საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომა არ შედგება.

***საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის პრესსამსახური***

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ 11 თებერვალს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახური, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი სოლომონ გოსტოლანაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მოძღვრის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ საპატრიარქოს სამედიცინო კაბინეტის ექიმს, ლია მარტიაშვილს გადაეცვალა მამა - თენგიზ მარტიაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა - შაბათს, 17 თებერვალს, 14:00 სთ.-ზე კასპის რაიონის სოფელ სამთავისში.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული თენგიზის სული.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ალერგოლოგი - 16 თებერვალი, 16.00-17.00 სთ.;

ფთიზიატრი - 17 თებერვალი, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი - 17 თებერვალი, 15.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - 17 თებერვალი, 17.00-18.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი - 18 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 21 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) - 22 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

***ნეფროლოგის, გინეკოლოგის და ინფექციონისტ-სეფსისოლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

ნა და დიდი სიყვარული. მინდა აღვნიშნო მამა მოსეს დიდი დამსახურება ეკლესიის წინაშე; ჩვენ ვითვალისწინებთ მის შრომას, მის თავდადებულ მოღვაწეობას და დღეს იგი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით და აყვანილია იღუმენის ხარისხში.

ღმერთმა დალოცოს იღუმენი მოსე და უფრო მეტი გააკეთებინოს ამ რაიონში და მთელ საქართველოში! მინდა ასევე დავლოცო ბატონი მიხეილი, რომელიც ძალიან ბევრს შრომობს და საჩუქრად გადავცე წმინდა გიორგის ხატი, რომელიც პირადად მისი და მთელი რაიონის მფარველი იქნება.

**ღვთის ნებით, ღვთის ძალით, ღვთის მადლით, ვაკეთოთ სიკეთე და სიკეთე მიგვიყვანს სასუფეველში, ამინ!**

დალოცვილი და გახარებული ყოფილიყავით და ,ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### სამეცნიერო კონფერენცია ტექნიკურ უნივერსიტეტში

14 თებერვალს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა თეოლოგიის კათედრის დაარსების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საპატრიარქო, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი.

კონფერენციას მიესალმა უწმინდესი და უნეტარესი ილია II და თეოლოგიის კათედრის გამგე, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

სამეცნიერო კონფერენციაზე მოისმინეს თეოლოგიური, ენათმეცნიერული და ისტორიული ხასიათის მოხსენებები. მომხსენებლები იყვნენ მეცნიერები და სასულიერო პირები.

### ბერად აღკვეცა

20 თებერვალს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) ბერად აღკვეცა მორჩილი რეზო მარგველაშვილი და სახელად ილია უწოდა.

### შეცდომების გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" №5-ში მე-2 გვერდზე „ქუთაისის სასულიერო აკადემიის ნაცვლად" უნდა ეწეროს „გელათის სასულიერო აკადემია", ხოლო მე-6 გვერდზე ქრონიკაში „ახალი ტაძარი ქუთაისში" - „ქუთაისის ეპარქიის მიტროპოლიტის ნაცვლად" უნდა ეწეროს „ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი", ხოლო ქუთაისის ეპარქიის ნაცვლად უნდა ეწეროს „ქუთაის-გაენათის ეპარქია".

გაზეთის რედაქცია შენდობას ითხოვს დაშვებული შეცდომებისთვის.

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) – 22 თებერვალი, 16.00-18.00 სთ.;

ოფთალმოლოგი - 24 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

პულმონოლოგი (ფილტვის დაავადებები) და ფთიზიატრი (ტუბერკულიოზის ექიმი) – 24 თებერვალი, 14.00-15.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - 24 თებერვალი, 15.00-16.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის) ტრავმატოლოგი პაატა ლუდუშაური - 25 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ბავშვთა ორთოპედი (კისერმრუდობა, ტერფმრუდობა, თანდაყოლილი სიმახინჯეები) - 25 თებერვალი, 12.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები,' დისკოგენური რადიკულიტი და სხვა) - 25 თებერვალი, 14.00-16.00 სთ.;

თერაპევტი - 26 თებერვალი, 14.00-16.00 სთ.

***ნეფროლოგის, გინეკოლოგის და ინფექციონისტ-სეფსისოლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***

### სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიას მასზედ, რომ ა.წ. 19 თებერვალს გარდაიცვალა ზუგდიდში მოღვაწე სქემმონაზონი ქეთევანი (მებონია).

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენოს ახლად შესვენებული ქეთევანის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი თანაგრძნობას უცხადებს თბილისის თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილს დედის – რუსუდან ზაქარიაშვილის გარდაცვალების გამო.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენოს ახლად შესვენებული რუსუდანის სული.

**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცეთ წმიდა ადგილები:**

**იერუსალიმის წმიდა მიწა აღდგომის დღესასწაულისათვის;** ფასი: 1250 $; საბუთების მიღება 10 მარტამდე;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ეგვიპტე 16-27 აპრილი;** ფასი: 1200-1300 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი

**ირანი 19 აპრილი - 4 მაისი;** ფასი: 750 $

**იტალია 19-28 მაისი,** ფასი: 1500 ევრო

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.,92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

## ქრონიკა, ინფორმაცია

### საქართველოს საპატრიარქოს ვიზიტი მოსკოვში

1-5 მარტს მიმდინარეობდა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში. დელეგაციის ოფიციალურ შემადგენლობაში იყვნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული), სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, გიორგი ანდრიაძე, ირაკლი ჟორდანია. ოფიციალურ დელეგაციას თან ახლდა მრავალრიცხოვანი სასულიერო და საერო პირები და ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის რამდენიმე წევრი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვში სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი ალექსი II-ის ოფიციალური მიწვევით ჩავიდა. მიწვევის მიზეზი მართმლადიდებლური ენციკლოპედიის მეცამეტე ტომის პრეზენტაცია იყო. ენციკლოპედიის ამ ტომის მასალების ნაწილი სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას ეხება. პრეზენტაციას, საქართველოს დელეგაციის გარდა, ესწრებოდნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, სასულიერო პირები, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და სხვა ოფიციალური პირები და საზოგადო მოღვაწეები.

ვიზიტის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თანმხლებ პირებთან ერთად მოილოცა მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია. შეხვდა და ესაუბრა ქართველ მრევლს, რომლებიც დიდი სიხარულით ელოდნენ მას. უწმინდესი და უნეტარესი ასევე ეწვია მოსკოვის სასულიერო აკადემიას და მოილოცა წმინდა სერგის სახელობის ლავრა.

კვირას, 4 მარტს, ორმა პატრიარქმა საზეიმო წირვა აღავლინა მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის ტაძარში.

5 მარტს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია თბილისში დაბრუნდა.

### გაიხსნა ახალი მონასტერი

20 თებერვალს მცხეთაში ამოქმედდა წმინდა იოანე (თორნიკეოფილის) სახელობის დედათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაშვილი), კეთილმოწესე – მონაზონი ეფემია

### დაჯილდოება

28 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარს, ილუმენ ლაზარეს (გაგნიძე) არქიმანდრიტის ხარისხი მიანიჭა.

### ხელდასხმა

25 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა,



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ზვიად ჯაღმაიძე და სახელად ანდრია უწოდა.

დიაკონი ანდრია ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *



25 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ ამბროსის (მაღლაკელიძე).

მღვდელმონაზონი ამბროსი საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

20 თებერვალს მარტვილის მიძინების საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) დიაკვნად ხელი დაასხა ბერ ილიას (მარგველაშვილი).

### წერილი რედაქციას

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას დაჟინებული თხოვნით მოგვმართა ქალბატონმა, რათა ჩვენი გაზეთის საშუალებით გამოექვეყნებინა ღია წერილი თავისი ვაჟის - ბესიკ საბიაშვილისადმი, რომელიც, მისი აზრით, ერთ-ერთ მონასტერში უნდა იმყოფებოდეს.

ვბეჭდავთ ქალბატონი ლიას წერილს (სტილი დაცულია).

***„ჩემო საყვარელო შვილო ბაჩო, შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გვენატრები ყველას. ძალიან გვიჭირს უშენობა. შენმა კეთილმა გულმა და გონებამ ვერ გაუძლო ამ ცხოვრების ტრომტრიალს. მაშინ ჩვენ არ გვესმოდა შენი. გთხოვ, გვაპატიო, ჩემო შვილო. ახლა ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გსურს. იცი, შვილო, ხან მკვდრებში გეძებ, ხან ცოცხლებში. ნუ გაგვწირავ უიმედობისთვის. დაგვირეკე მაინც - 59 40 39 და გვითხარი, რომ ცოცხალი ხარ. გულზე მძიმე ლოდი მადევს, შვილო. ნუ აწყენინებ უფალს და ამხსენი ეს ლოდი. ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია, ჩემო ბაჩუკი. გწერს შენი დედა ლია."***

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი იუწყება, რომ ჩვენს თანამშრომელს ნინო გაგოშაშვილს გარდაეცვალა დედა - ეთერ გაგოშაშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ეთერის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი იუწყება, რომ თბილისის მართალი ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძრის წინამძღვარს (დიღომში), დეკანოზ გიორგი დათუნაშვილს გარდაეცვალა მამა ივერ დათუნაშვილი

**დეგ, ქართველთა ევროპულ ოჯახში საბოლოოდ დასამკვიდრებლად, უთუოდ უნდა გავამრავლოთ უდიდესი სიმდიდრე ქართველი ერისა, გავაძლიეროთ უდიდესი ეროვნული საგანძური - ქრისტიანობა. ევროპა, ძირითადად, ქრისტიან ერთა კავშირია. ამ კავშირის ბუნებრივი წევრი არის საქართველო უკვე 2000 წელია, წმინდა მოციქულებისა და წმინდა ნინოს შემდგომ. იმედი გვაქვს, თეოლოგიის კათედრა მისი უწმინდესობის ლოცვით, ერის ამ სიმდიდრეს კიდევ უფრო გაამრავლებს.**

**საბოლოოდ, კიდევ ერთხელ, უღრმეს მადლობას ვწირავთ მის უწმინდესობას თეოლოგიის კათედრის კურთხევისათვის, იმედი გვაქვს, ღვთის დიდი მოწყალებითა და მისი უწმინდესობის ლოცვით, თეოლოგიის კათედრა იქცევა მნიშვნელოვან სასულიერო და კულტურულ ცენტრად".**

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა

21 თებერვალს შედგა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სხდომა. სხდომაზე მოისმინეს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ფირცხელანის მოხსენება „ევოლუციური მოძღვრების კრიტიკა ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევების პოზიციიდან". მოხსენებაში მდიდარი, ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, ნაჩვენებია, რომ უახლესი გენეტიკური გამოკვლევებით ახალი სახეობების წარმოქმნის დარვინისტულ-ევოლუციური თეორია არ დასტურდება.

საზოგადოების შემდეგი სხდომა 21 მარტს 16 საათზე, წმიდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შედგება (წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, II სართული). სხდომაზე განხილული იქნება გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის ვაჟა-იოანე ნადირაძის მოხსენება „წმინდა წერილი და გეოლოგია". დასწრება თავისუფალია.

## თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი

### ა ც ხ ა დ ე ბ ს

### მიღებას 2007-2008 სასწავლო წლისათვის

საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე.

სწავლების ფორმა - დღის დასწრებული.

ხანგრძლივობა - 4 წელი.

სწავლება - ქართულ ენაზე.

მისაღები კონტიგენტი - 20 ადგილი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ვაჟები.

გამოცდები ტარდება შემდეგ დისციპლინებში:

**1. მუსიკის თეორია: წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია);**

**2. ქართული სიმღერა-გალობა** (აბიტურიენტს მოეთხოვება მისაღები მოთხოვნებით გათვალისწინებული 6 საეკლესიო საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით); ამავე გამოცდის ფარგლებში ჩატარდება გასაუბრება (ქართული ტრადიციული სამუსიკო კულტურის საკითხებზე; გარდა ამისა, აბიტურიენტს მოეთხოვება სამუსიკო მასალის გამოცნობა);

**3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);**

**4. საქართველოს ისტორია (ზეპირი).**

მისაღები გამოცდები ჩატარდება ივლისის თვეში.

საგალობლებისა და სიმღერების აუდიოჩანაწერების, სიმღერების სიტყვიერი ტექსტებისა და საგალობლების სანოტო ნიმუშების გადაწერა შესაძლებელია ინტერნეტის ბმულით:

http://www.link.ge/file/91571/Misaghebi-gamocdis-programa-galobasa-da-simgherashi.rar.html

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში. მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გაბისკირიას (ყოფილი ბალმაშევის) ქუჩა №4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

*ტელეფონი: 96 15 59.*

## ხელდასხმა

18 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წალკის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონი მოსე (ჩანკვეტაძე) ეკლესიის ერთგული მსახურებისათვის იღუმენის ხარისხში აიყვანა.

* * *

11 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა შიომღვიმის მონასტრის ბერი დანიელი (წულაია); იმავე დღეს კი მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან გიორგი ასათიანს.

* * *

2007 წლის 6 მარტს ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში არქიმანდრიტმა ილიამ (ნასიძე) ბერად აღკვეცა მორჩილი დავითი (სუჯაშვილი) და სახელად პეტრე უწოდა.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ვჳვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ენდოკრინოლოგი - 17 მარტი, 15.00-17.00 სთ.;

***უროლოგისა და ბავშვთა ნევროპათოლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცოთ წმიდა ადგილები:**

**იერუსალიმის წმიდა მიწა გიორგობის დღესასწაულისათვის;** ფასი: 1200 $;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ეგვიპტე 16-27 აპრილი;** ფასი: 1200-1300 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი

**იტალია 19-28 მაისი,** ფასი: 1500 ევრო

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ., 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

15-17 თებერვალს პირველი ასეთი ჩვენება თბილისში, კინოს სახლში გაიმართა. მეორე ჩვენება მოეწყო რუსთავში 17-18 მარტს, ხოლო 30-31 მარტს და 1-ლ აპრილს მართლმადიდებლური დოკუმენტური ფილმების ნახვის შესაძლებლობა უკვე ქუთაისელ მაყურებელსაც ექნება. ასეთი ჩვენების მოწყობა დაგეგმილია ფოთში, გორში, ზუგდიდში, ხაშურში, თელავში, ნიქოზში, მაღალმთიან აჭარაში, ასევე სხვა ქალაქებსა და რაიონებში. საპატრიარქოს პრესცენტრი მიესალმება სტუდია „მეოხის“ ამ ინიციატივას, მართლმადიდებლურ დოკუმენტურ ფილმებს შეუძლიათ უდიდესი წვლილი შეიტანონ ღვთის სიტყვის ქადაგებაში. ჩვენ შევეცდებით, მომავალშიც გავაშუქოთ კინოფილმების ჩვენების გრაფიკი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 22-26 სექტემბერს ქ. ბათუმში კვლავ გაიმართება „წმინდა ანდრიას ჯვრის“ II საერთაშორისო ფესტივალი. ამჯერად იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავს მიეძღვნება.

## ჟურნალი „ფუძე“ - უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის

ჟურნალი „ფუძე“ განკუთვნილია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის.

ჟურნალის შეძენის მსურველებს ან ხელმომწერებს შეუძლიათ უფასოდ განათავსონ განცხადება, მილოცვა ან პუბლიკაცია შესაბამისი ფოტოებით და აგრეთვე შვილებისა და შვილიშვილების ფერადი ფოტოები.

ჟურნალს შიკრიკი ბინაზე მოგართმევთ.

***ინფორმაციისათვის დარეკეთ:***

***99-73-01, 93-25-19, 877-50-28-54.***

***რედაქციის მისამართი: თამრიკო ჭოველიძის ქ. (ყოფილი ბელინსკის) №2, II სართ., ოთახი №3 (ან №29).***

## შეხვედრები ახალგაზრდულ ცენტრში დაიწყო

19 მარტს ყოვლადწმინდა სამების ლავრაში ახალგაზრდული ცენტრის პირველი ღონისძიება-შეკრება გაიმართა, რომელზეც მოხსენება წაიკითხა თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგმა, მღვდელმა თეიმურაზ თათარაშვილმა თემაზე – „ქრისტიანობა და წარმართობა“. აღსანიშნავია, რომ ამიერიდან მსგავსი შეხვედრები ყოველდღიურად, შემდეგი გრაფიკის მიხედვით გაიმართება:

ორშაბათი: ღვთისმეტყველება და ფილოსოფია;

სამშაბათი: ისტორია;

ოთხშაბათი: ქართული ენა და ლიტერატურა;

ხუთშაბათი: ხელოვნება და კულტურა;

პარასკევი: ქრისტიანული ოჯახი და ბავშვების აღზრდა;

შაბათი: სოფლის მეურნეობა და ბიოუსაფრთხოება;

კვირა: ფილმები.

## აღკვეცა

9 მარტს სვეტიცხოველში არქიმანდრიტმა ისააკმა (ლადუა) ბერად აღკვეცა მორჩილები: კონსტანტინე ფიჩხაია, რომელსაც ეწოდა – ანტონი, რომანოზ კარტოზია – ილია და მამუკა სისაური – მელქისედეკი.

* * *

13 მარტს წალკის რაიონის სოფელ ოლიანკაში არქიმანდრიტმა დოროთემ (ყურაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილი ნუკრი ლურწკაია და მას ანდრია უწოდა.

## კურთხევა

11 მარტს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) მღვდლად ხელი დაასხა დიაკვან იორამ გოლეთიანს.

* * *

18 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა სვეტიცხოვლის ბერი გიორგი (თელია), მამა გიორგი სვეტიცხოვლის ტაძარში იმსახურებს.

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ 19 მარტს გარდაიცვალა მონაზონი ბარბარე (გელაძე), რომელიც 14 მარტს არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) მონაზვნად აღკვეცა.

საქართველოს საპატრიარქო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულის სული.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ვეჯის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - 24 მარტი, 15.00-16.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი - 25 მარტი, 12.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები, დისკოგენური რადიკულიტი და სხვა) - 25 მარტი, 14.00-16.00 სთ.;

თერაპევტი - 26 მარტი, 14.00-16.00 სთ.;

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) – 27 მარტი, 16.00-18.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 28 მარტი, 16.00-18.00 სთ.

***ნეფროლოგის, გინეკოლოგისა და ინფექციონისტ-სეფსისოლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:**

**იერუსალიმის წმიდა მიწა გიორგობის დღესასწაულისათვის;** ფასი: 1200 $;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ეგვიპტე 16-27 აპრილი;** ფასი: 1200-1300 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი

**ირანი 19 აპრილი** - 4 მაისი; ფასი 750 $

**იტალია 19-28 მაისი,** ფასი: 1500 ევრო

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ., 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

თობის იურიდიული ასპექტები - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონი ხეცურიანი.

კონფერენციის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

იმავე დღის საღამოს, 19.00 საათზე გაიხსნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. გამოფენა მოამზადეს: საქართველოს საპატრიარქოს არქივმა, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანისა“ და საპატრიარქოს გალობის ცენტრის თანამშრომელმა ლუარსაბ ტოგონიძემ, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა. გამოფენაზე წარდგენილი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ საერო და სასულიერო პირთა ფოტოები, დოკუმენტები და ფოტოდოკუმენტები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის აღდგენის 1990 წლის დეკლარაცია.

## საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი დოქსოლოგია ყოვლადწმინდა სამების ლავრაში

25 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, წირვის დასრულების შემდეგ, საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი დოქსოლოგია აღავლინა. ყოვლადწმინდა სამების ტაძარში წირვას დაესწრნენ საბერძნეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბატონი ალეფთერიოს ანგელოპულოსი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამბიონიდან სიტყვით მიმართა ბატონ ელჩს (სიტყვა იხ. 3-ე გვ.), მიულოცა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე და საჩუქრად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გადასცა. ბატონმა ანგელოპულოსმა მადლობა გადაუხადა უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

## კათოლიკოს-პატრიარქმა არღვლიანების გვარი დალოცა

25 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წირვის დასასრულს აკურთხა არღვლიანების გვარი და დღეგრძელობა და გამრავლება უსურვა მათ.



## კათოლიკოს-პატრიარქმა 40 სებასტიელის სახელობის ტაძარი მოილოცა

22 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისში მეტეხის ხიდის ახლოს არსებული 40 სებასტიელი მოწამის სახელობის მშენებარე ტაძარი მოილოცა. მას თან ახლდნენ: სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე), არქიმანდრიტი საბა (კუჭავა), დეკანოზი ბესარიონი მანაბდე, პროფესორი გივი ლამბაშიძე, აკადემიკოსები - თამაზ გამყრელიძე და გურამ თევზაძე და სხვები. ეკლესიის საჭეთმპყრობელმა სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა.

## ფილმის პრემიერა

1-ლ აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, კინოთეატრ „ამირანში“ ირაკლი მახვილაძის ფილმ „კვირიკეს“ პრემიერა შედგა. ფილმი ეძღვნება წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის თბილისის ტაძარს (წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ყიფშიძე). ფილმმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

## მონაზვნად აღკვეცა

22 მარტს ერკეთის წმინდა მიქაელისა და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე) მონაზვნად აღკვეცა ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის სამონაზვნეები: რიფსიმე ურუშაძე ***(სახელად ეწოდა ტაბითა),*** სამონაზვნე სოფიო დათებაშვილი ***(სახელად ეწოდა სარა)*** და ჯიხეთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტრის სამონაზვნე იოანა დავითაშვილი ***(სახელად ეწოდა სოფიო).***

* * *

23 მარტს საპატრიარქოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) მონაზვნად აღკვეცა საპატრიარქოს დედათა მონასტრის მორჩილები: ლია მარტიაშვილი ***(სახელად ეწოდა ქეთევანი),*** მარიამ ირემაშვილი ***(სახელად ეწოდა ანა)*** და ვერა ბებიაკაცაძისა ***(სახელად ეწოდა მართა).***

* * *

27 მარტს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში მღვდელმონაზონმა ლაზარემ (გრძელიშვილი) შეასრულა მონაზვნად აღკვეცის წესი: სამონაზვნეები - ნატალია ხიდაშელი ***(სახელად ეწოდა ნინო),*** კლავდია ლიპარტელიანი ***(სახელად ეწოდა ნონა),*** ანა ხარჩილავა ***(სახელად ეწოდა ანა),*** ქრისტინე კალაძე ***(სახელად ეწოდა ეკატერინე),*** მართა თოლორდავა ***(სახელად ეწოდა ელენე),*** სიდონია მელითაური ***(სახელად ეწოდა სიდონია)*** მონაზვნად აღკვეცეს.

იმავე დღეს სამონაზვნეებად იკურთხნენ: მორჩილები - მანანა ჩიხლაძე ***(სახელად ეწოდა ეფემია),*** ნანა მახარობლიძე ***(სახელად ეწოდა იოანა),*** ილარია ლურწკაია ***(სახელად ეწოდა ევა)*** და მორჩილის კაბებით შეიმოსნენ: ირინა ჩარაშვილი, ელისაბედ წიწილაშვილი და ნინო გოგშელიძე.

* * *

28 მარტს მცხეთის წმინდა იოანე მთაწმიდელის (თორნიკე ყოფილის) სახელობის დედათა მონასტერში არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფირცხალაიშვილი) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი ეკატერინე გიორგაძე და სახელად რექაბი უწოდა.

* * *

29 მარტს მარტვილის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) მონაზვნად აღკვეცა მორჩილები: მარიამ ქობალია ***(სახელად ეწოდა ბარბარე)*** და ნათია ლომთაძე ***(სახელად ეწოდა ქეთევანი).***

## ბერად აღკვეცა

24 მარტს საპატრიარქოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) ბერად აღკვეცა მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი გაბრიელ ქავთარაძე და სახელად გიორგი უწოდა. მამა გიორგის იმავე დღეს იღუმენის წოდება მიენიჭა.



* * *

25 მარტს, თბილისის წმინდა მარიამ ეგვიპტელის სახელობის ახლად დაარსებულ მონასტერში (თბილისის ზღვის მახლობლად) არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) ბერად აღკვეცა მორჩილი ლევან თეთრუაშვილი და სახელად უწოდა დემეტრე.

იმავე დღეს, თბილისის, ახლად დაარსებულ, ხარების სახელობის მონასტერში (მდებარეობს ჩუღურეთის რაიონში, კვირაცხოვლობის ტაძრის მახლობლად) არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) ბერად აღკვეცა მორჩილი ავთანდილ კუჭავა და სახელად უწოდა აარონი.

## ხელდასხმა

11 მარტს ერკეთის წმინდა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ვიქტორ გიორგაძე და სახელად ბიქტორი უწოდა.

* * *

25 მარტს ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახალქალაქის სამღვდელმთავრო რეზიდენციის ბერი თეოდორე (ნიკალსონი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო თბილისის თამარ მეფის სახელობის ტაძრის დიაკონს დიმიტრი ბურდულს მღვდლად დაასხა ხელი.

* * *

1 აპრილს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ბიქტორ გიორგაძეს. მღვდელი ბიქტორი ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

1 აპრილს მარტვილის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ ილიას (მარგველაშვილი).

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა ვაჟა ლომინაძე – ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ქტიტორი, საქართველოში პირველი სამგალობლო მუზეუმის დამაარსებელი, მრავალი კეთილი საქმისა და ქველმოქმედების განმახორციელებელი.

საქართველოს საპატრიარქო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვაჟას სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ საბავშვო გაზეთ „ალილუიას“ მხატვარს – თამარ ჩოჩელს გარდაეცვალა ბებია – ნათელა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ ნათელას სული.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

თერაპევტი - 11 აპრილი, 14.00-16.00 სთ.;

ფთიზიატრი, პულმონოლოგი (ფილტვის ექიმი) - 14 აპრილი, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი - 14 აპრილი, 15.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - 14 აპრილი, 17.00-18.00 სთ.;

ნევროპათოლოგი, ეპილეფტოლოგი (ეპილეფსიის სპეციალისტი) და ნეიროქირურგი (თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები, დისკოგენური რადიკულიტი და სხვა) - 15 აპრილი, 12.00-14.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 17 აპრილი, 16.00-18.00 სთ.;

ალერგოლოგი – 18 აპრილი, 16.00-17.00 სთ.;

***სხვა სპეციალისტების მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***


**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:**

**ბოდბე-ნინოწმიდა (წმ. ნინოს საფლავი, წყალში განბანვა)** 14 აპრილი, კვირა, გასვლა 8:00 სთ, ფასი 10 ლ.

**ბარეჯი (დავითის ლავრა; უდაბნო; ნათლისმცემლის მონასტერი)** 15 აპრილი, კვირა, გასვლა 8:00 სთ, ფასი 10 ლ.

**ძვათახევი-მაღალაანთ ეკლესია** 21 აპრილი, შაბათი, გასვლა 8:00 სთ, ფასი 10 ლ.

**მცხეთა-შიომღვიმე** 22 აპრილი, კვირა, გასვლა 8:30 სთ, ფასი 8ლ.

**იერუსალიმის წმიდა მიწა გიორგობის დღესასწაულისათვის;** ფასი: 1200 $;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ეგვიპტე 16-27 აპრილი;** ფასი: 1200-1300 $; საბუთების მიღება 25 მარტამდე. წარმოადგინეთ: პასპორტი და თანხის ნახევარი

**ირანი 19 აპრილი** - 4 მაისი; ფასი 750 $.

**იტალია 19-28 მაისი,** ფასი: 1500 ევრო.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ., 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამთან და სამების ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად. მსახურებას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი, მისი აღმატებულება, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, მეუღლესთან, სანდრა რულოვსთან, ერთად.

**გამოფენა სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში**

11 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში დაცული სააღდგომო მინიატურების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ: უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ურბნისისა და რუისი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი (ჭიღლაძე), სხვა სასულიერო და საერო პირნი.

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა**

21 მარტს შედგა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სხდომა. სხდომაზე მოისმინეს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის კაჭა-იოანე ნადირაძის მოხსენება „წმიდა წერილი და გეოლოგია“. განიხილეს კატასტროფების თეორია, რომელიც, მეცნიერ-გეოლოგთა თვალსაზრისით და თანამედროვე გეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით, უფრო ზუსტად აღწერს დედამიწის ფორმირების პროცესს. საგულისხმოა, რომ გეოლოგიური თვალსაზრისით კატასტროფების თეორია ფაქტობრივად წარღვნის შედეგებს აღწერს. როგორც ცნობილია, წარღვნის შესაძლებლობას ადრე გეოლოგები ეჭვს ქვეშ აყენებდნენ. სხდომაზე აღინიშნა, რომ კატასტროფების თეორიის მიღწევები წმიდა წერილში აღწერილი მოვლენების მეცნიერული აღიარების კიდევ ერთი დადასტურებაა.

საზოგადოების შემდეგი სხდომა 18 აპრილს, 16 სთ-ზე წმიდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შედგება (წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, მე-2 სართული). სხდომაზე განხილული იქნება ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის, პროფესორ მერაბ ჯიბლაძის მოხსენება „დიდი აფეთქება – მითი თუ რეალობა“.

დასწრება თავისუფალია.

**აღკვეცა**

6 აპრილს დუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტერში ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი მარინე ჩილინგარიშვილი-აბაშიძისა და სახელად მარინე უწოდა.

7 აპრილს თბილისის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერში არქიმანდრიტმა სერაფიმემ (ჭედია) მონაზვნად აღკვეცა მაია ხუნდაძე და სახელად მარიამი უწოდა.

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 10 აპრილს გარდაიცვალა წალკის რაიონის სოფელ ოილიანკაში არსებულ წმინდა ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის სახელობის მამათა მონასტრის ბერი იოაკიმე (ქირია) და სამძიმარს უცხადებს მონასტრის მონასტრის საძმოს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებულის სული.

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) – 12 აპრილი, 16.00-18.00 სთ.;

პულმონოლოგი (ფილტვის დაავადებები) და ფთიზიატრი (ტუბერკულიოზის ექიმი) – 14 აპრილი, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი – 14 აპრილი, 15.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) კახა ქუნთელია - – 14 აპრილი, 17.00-18.00 სთ.;

ნევროპათოლოგი, ეპილეფტოლოგი (ეპილეფსიის სპეციალისტი) და ნეიროქირურგი (თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები, დისკოგენური რადიკულიტი და სხვა) – 15 აპრილი, 12.00-14.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 17 აპრილი, 16.00-18.00 სთ.;

ალერგოლოგი – 18 აპრილი, 16.00-17.00 სთ.;

კარდიოლოგი – ყოველდღე 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***

**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცეთ წმიდა ადგილები!**

**ბოდბე-ნინოწმინდა (წმ. ნინოს საფლავი, წყალში ბანაობა)** 14 აპრილი, შაბათი, გასვლა 8:00 სთ, ფასი 10 ლ.

**გარეჯი (დავითის ლავრა; უდაბნო; ნათლისმცემლის მონასტერი)** 15 აპრილი, კვირა, გასვლა 8:00 სთ, ფასი 0 ლ.

**ქვათახევი-მაღალაანთ ეკლესია** 21 აპრილი, შაბათი, გასვლა 8:00 სთ, ფასი 10 ლ.

**მცხეთა-შიომღვიმე** 22 აპრილი, კვირა, გასვლა 8:30 სთ, ფასი 8ლ.

**იერუსალიმის წმიდა მიწა გიორგობის დღესასწაულისათვის;** ფასი: 1200 $;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ირანი 19 აპრილი** - 4 მაისი; ფასი 750 $.

**იტალია 19-28 მაისი,** ფასი: 1500 ევრო.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ., 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

## ქრონიკა. ინფორმაცია

### ბრწყინვალე შვიდეულში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II პატიმრები მოინახულა

ბრწყინვალე შვიდეულში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, სასულიერო პირებთან და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად პატიმრები მოინახულა. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია მე-5 და მე-7 იზოლატორებსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს; შეხვდა და ესაუბრა პატიმრებს. დარიგდა სააღდგომო საჩუქრები – პასკები, წითელი კვერცხები, ჯვრები, ხატები და კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს სააღდგომო ეპისტოლეები.

### კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქუვეითსა და ბაჰრეინს ეწვია

17-22 აპრილს, ქუვეითის რელიგიის საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მოწვევით შედგება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ქუვეითსა და ბაჰრეინში.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ბათუმისა და ქობულეთის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული), რელიგიათშორისი საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი ლელა ჯღენტი ჯეჯელავა და საპატრიარქოს ტელეკომპანია „ივერიის" ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე. ვიზიტი შედგა საპატრიარქოს რელიგიათშორისი საკოორდინაციო ცენტრის ხელშეწყობით.

ვიზიტის პერიოდში უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეხვდება: ქუვეითის ემირს - შეიხ საბაჰ ალ-ახმედ ას-საბაჰს, ქუვეითის პრინცს - შეიხ საად ალ-აბდალა ას-საბაჰს, ქუვეითის ეროვნული ასამბლეის სპიკერს - ჰასამ ალ-კარაფის, პრემიერ-მინისტრ - შეიხ ნასერ ალ-მუჰამედ ას-საბაჰს, იუსტიციის, ვაკფისა და ისლამურ საქმეთა მინისტრი - მაატუკ აბდალაჰ ალ-მაატუკს, ბაჰრეინის მონარქს – ემირ ხამად ბენ ისა ალ ხალიფას, ბაჰრეინის სამეფოს მინისტრთა საბჭოს მოადგილესა და ისლამის საქმეთა მინისტრს - შეიხ აბდალა ბენ ხალედა ალ-ხალიფას და სხვა ოფიციალურ პირებს.

### ახალგაზრდულმა ცენტრმა მუშაობა განაახლა

ამა წლის 16 აპრილიდან საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი) განახლდა „შემეცნებითი საუბრები", რომელიც ტარდება ყოველდღე 14:30 სთ.-ზე. დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ხუთშაბათი (19.04.07) - ქართული ენა და ლიტერატურა.

საუბარს წარმართავს პროფესორი გრივერ ფარულავა.

დიალოგის თემაა „კულტურა და ლიტერატურა".

პარასკევი (20.04.07) - ქრისტიანული ოჯახი და ბავშვის აღზრდა.

საუბარს წარმართავს მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

დიალოგის თემაა „აბორტი და კონტრაცეპტივები".

შაბათი (21.04.07) - სოფლის მეურნეობა და ბიოუსაფრთხოება.

საუბარს წარმართავს პროფესორი ჯანო ბურჯანაძე.

დიალოგის თემა „სოფლის მეურნეობის პროდუქტის შენახვა".

(კვირაობით მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება უსახსრობის გამო შეჩერებულია).

ორშაბათი (24.04.07) - ღვთის მეტყველება და ფილოსოფია.

საუბრის თემა „ისლამი და თანამედროვე მსოფლიო".

დიალოგს წარმართავს რუსუდან წიქვაძე.

სამშაბათი (25.004.07) - ისტორია.

საუბრის თემა: „მირონის კურთხევა საქართველოში".

დიალოგს წარმართავს მღვდელი ლევან მათეშვილი.

ოთხშაბათი (26.04.07) - კულტურა და ხელოვნება.

საუბრის თემა: „გურიის საეპისკოპოსოები".

დიალოგს წარმართავს მეცნიერებათა დოქტორი თეა ქართველიშვილი.

### კათოლიკოს-პატრიარქის საგალობლების კომპაქტ-დისკისა და მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი

16 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია - II ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოალბომისა და მისივე საგალობლების კომპაქტდისკის წარდგინება. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებ.ს ხელმძღვანელმა მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), ცნობილმა ბიზნესმენმა ბადრი კაკაბაძემ, წიგნის რედაქტორმა საპატრიარქოს არქივის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მზია კაცაძემ, მთარგმნელმა და კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ, ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ, სამების ტაძრის საპატრიარქო ტაძრის რეგენტმა სვიმონ ჯანგულაშვილმა და სხვებმა.

ფოტოალბომში შევიდა საპატრიარქოს არქივში დაცული ფოტო-მასალა. კომპაქტში თავმოყრილია უწმინდესისა და უნეტარესის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი საგალობლები და სიმღერები, რომელთაც სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი ასრულებს. წარდგინებას დაესწრნენ წმინდა სინოდის წევრები, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა (გოგიბერია), სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ქალაქ თბილისის მერი ბატონი გიგი უგულავა, მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ასევე საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჟურნალისტები, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, სასულიერო პირები, სტუდენტები.

### აღკვეცა

22 მარტს ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) ბერად აღკვეცა მორჩილები: გიორგი ზარიძე **(სახელად ეწოდა იოანე)** და გიორგი ჯღობინაშვილი **(სახელად ეწოდა ლაზარე).**

* * *

31 მარტს შიომღვიმის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) ბერად აღკვეცა მორჩილები: ცოტნე კვიმსაძე **(სახელად ეწოდა ლაზარე)** და ნოე აბრამიძე **(სახელად ეწოდა ალექსანდრე).**

* * *

31 მარტს მარტყოფის „ღვთაების" სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა ბენიამენმა (ბელქანია) ბერად აღკვეცა მორჩილები: ვალერი

ცხადაია ***(სახელად ეწოდა მელქისედეკი)***, ავთანდილი ბაზაგაშვილი ***(სახელად ეწოდა ლაზარე)***, რეზო შალიკაშვილი ***(სახელად ეწოდა სერაფიმე)***, ზურაბ ჯავახიშვილი ***(სახელად ეწოდა ელისე)***, ალექსანდრე ხოსროშვილი ***(სახელად ეწოდა დავითი)*** და ფრიდონ შენგელია ***(სახელად ეწოდა ანტონი)***.

## მორჩილებად კურთხევა

4 აპრილს, ვნების შვიდეულის ოთხშაბათს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოს ტაძარში მორჩილებად აკურთხა: ნათია ჭილლაძე (***უწოდა სახელად თინათინი***), ნინო ბიბილეიშვილი, ლიდა ჯანაშვილი (***უწოდა ლიდია***), დალი შელია (***უწოდა ქეთევანი***) და მადონა მუშკუდიანი ***(უწოდა მარიამი)***.

## ფესტივალის დახურვა

15 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში საზეიმოდ დაიხურა სააღდგომო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე". ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო პატრონაჟითა და ა. რამიშვილის ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალი უკვე მეორე წელია იმართება და იგი აღდგომიდან მოყოლებული ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში გრძელდება. წლევანდელი პროგრამაც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, შედგა მრავალი საინტერესო კულტურული ღონისძიება. საზეიმო დახურვისას კი კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. ფესტივალის დახურვას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე), კულტურის მოღვაწეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

## „ქართველ წმინდანთა ცხოვრება" პირველად ინგლისურ ენაზე

12 აპრილს გალერეა „უნივერსში" ახალი წიგნის – დეკანოზ ზაქარია მაჩიტაძის „ქართველ წმინდანთა ცხოვრება" ინგლისურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია შედგა. მსგავსი შინაარსის წიგნი ინგლისურ ენაზე პირველად დაიბეჭდა. მისი გამომცემლები არიან – წმინდა ჰერმანე ალიასკელის ძმობა და ქართულ-ამერიკული შემოქმედებითი ჯგუფი ლადო მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. პრეზენტაციის სპონსორი გახლდათ აშშ-ს საელჩო საქართველოში. წიგნი ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს დავით და ლოურენ ნინოშვილებმა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, ბერ-დიაკონი თეოდორე ნიკლასონი, აშშ-ს ელჩი საქართველოში ბატონი ჯონ ტეფტი და სხვები.

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ 16 აპრილს გარდაიცვალა ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის (საჯარო ბიბლიოთეკასთან) მოძღვარი, დეკანოზი პავლე ბერიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენოს ახლად შესვენებული დეკანოზ პავლეს სული.

## ოჯახი ეძებს დაკარგულ ვაჟს



ოჯახი ეძებს ხვიჩა თამაზის ძე ჯიქურიძეს. ხვიჩა 33 წლისაა. იგი სახლიდან გავიდა ა.წ. 14 მარტს და არ დაბრუნებულა.

წინა დღეებში მშობლებთან საუბრისას მან გაამხილა, რომ აპირებდა მონასტერში წასვლას.

თუ ვინმემ რამე იცით ხვიჩა ჯიქურიძის შესახებ, დარეკეთ ნომრებზე: 60-26-48, 65-13-61, 893-61-31-56, 899-490-111, 899-715-575.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ოფთალმოლოგი – 21 აპრილი, 12.00-14.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი – 22 აპრილი, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი – 23 აპრილი, 14.00-16.00 სთ.;

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) – 24 აპრილი, 16.00-18.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი – 25 აპრილი, 14.00-16.00 სთ.;

დერმატოლოგი – 26 აპრილი, 15.00-17.00 სთ.;

უროლოგის, გინეკოლოგისა და ინფექციონისტ-სეფსისოლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***
***98 90 12; 8 99 57 65 31***


**საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცეთ წმიდა ადგილები:**

**ქვათახევი -ბადალაანთ ეკლესია** 21 აპრილი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 10 ლ.

**მცხეთა-შიომღვიმე** 22 აპრილი; კვირა; გასვლა 8:30 სთ; ფასი 8ლ.

**გარეჯი (დავითის ლავრა, უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი)** 28 აპრილი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 10 ლ.

**ბოლნისი-დმანისი-წულწრულაშენი-ქოლაგირი** გასვლა 29 აპრილი; კვირა; გასვლა 8:00 სთ; ფასი 12 ლ.

**სარყის წმ. გიორგის ეკლესია (წმ. გიორგის დღესასწაული)** 5 მაისი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 15 ლ.

**შავნაბადა-თელეთი (წმ. გიორგის სადღესასწაულო წირვაზე დასწრება)** 6 მაისი; კვირა; 8:00 სთ; ფასი 8 ლ.

**იერუსალიმის წმიდა მიწა გიორგობის დღესასწაულისათვის;** ფასი 1 200 $;

წარმოადგინეთ: პასპორტი ასლთან ერთად, მოძღვრის რეკომენდაცია და თანხის ნახევარი.

შეგიძლიათ ისარგებლოთ განვადებით TBS ბანკის საშუალებით

**ირანი მაისის თვისთვის;** ფასი, 750 $

**იტალია** 19-28 მაისი ფასი 1500 ევრო

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ., 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

მიისა და სემინარიასთან არსებული სადვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, დეკანოზი დავით შარაშენიძე. წიგნის პრეზენტაციაზე მიწვეულნი იყვნენ ვახტანგ ჯობაძის ოჯახის წევრები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

შეკრებილ აუდიტორიას სიტყვით მიმართეს: უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, მიტროპოლიტმა თეოდორემ, ბატონ ვახტანგ ჯობაძის დამ – ქალბატონმა თინათინ ჯობაძემ, ბატონ ვახტანგის ქალიშვილმა, ქალბატონმა ეთერ ჯობაძემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა როინ მეტრეველმა, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა დიმიტრი თუმანიშვილმა. დამსწრე საზოგადოებას უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საჩუქრად გადაეცა ვახტანგ ჯობაძის წიგნის ახალი გამოცემა.

*ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი ვახტანგ ჯობაძე დაიბადა 1917 წელს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში - ხელოვნების ისტორიის განხრით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწავლობდა გოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. 1950-იანი წლებიდან დამკვიდრდა აშშ-ში და მოღვაწეობდა ჯერ იუტას, ხოლო შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტებში. 1996 წელს ვ. ჯობაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.*

*ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო საქმიანობა თემატურად ძალზე მრავალფეროვანია. განსაკუთრებით ღირებულია ვ. ჯობაძის წვლილი ამჟამად თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიული ქართული მხარის – ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესწავლაში. 1965-1983 წლებში მან ამ მხარეში რვა ექსპედიცია მოაწყო და უზარმაზარი შრომა გასწია, როგორც ახალი მასალის გამოსამზეურებლად, ისე მის დასამუშავებლად.*

*„თურქეთის საქართველოში" ვ. ჯობაძის მრავალწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა 1992 წელს, ინგლისურ ენაზე გამოცემული მონოგრაფიით - „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში". ამ წიგნმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ცოდნა ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ. მასში განხილულია ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის მრავალი ეკლესია და მონასტერი, მათ შორის ისეთებიც, რომელთა შესახებ მანამდე ცოტა რამ ან სულაც არაფერი ვიცოდით (ახიზა, ესბეკი, პარეხთა და სხვა). განსაკუთრებით დეტალურად არის შესწავლილი ტაოს ყველაზე დიდი ეკლესია – ოშკი. ძეგლის ძირითადი სფერო ხუროთმოძღვრებაა, თუმცა მეცნიერი საკმაო ყურადღებას უთმობს ძეგლის მხატვრობასა და ქანდაკოვან შემკულობასაც, აგრეთვე ეპიგრაფიკას – გამოქვეყნებული და გარჩეულია ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების იმხანად ცნობილი ყველა წარწერა, მათგან რამდენიმე თავად ვ. ჯობაძის აღმოჩენილი.*

## მონასტრის კურთხევა

22 აპრილს მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღეს ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერი აკურთხა. მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა მონაზონი ბარბარე (ქობალია).

## ხელდასხმა

22 აპრილს ბოლნისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი აკაკი ქიტუაშვილი და სახელად არჩილი უწოდა.

დიაკონი არჩილი ბოლნისის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

* * *

29 აპრილს ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად აკურთხა სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკონი რევაზ ნაცვლიშვილი, ხოლო სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერ ექვთიმეს (ბუსკანძე) – დიაკვნად დაასხა ხელი.

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ 21 აპრილს გარდაიცვალა თბილისის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტრის მონაზონი მარიამი (ხუნდაძე).

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული მონაზონი მარიამი.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს მორჩილს ნინო ბიბილეიშვილს გარდაეცვალა მამა – იოანე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული იოანეს სული.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***ჯვრის მამის სახელობის ტაძართან არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

*ოფთალმოლოგი* – 5 მაისი, 12.00-14.00 სთ.;

*ენდოკრინოლოგი* – 5 მაისი, 15.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლ-ძარღვების დაავადებები) – 5 მაისი, 17.00 სთ.;

ბავშვთა ორთოპედი (კისერმრუდობა, ტერფმრუდობა, თანდაყოლილი სიმახინჯეები და სხვ.) – 6 მაისი, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) – 7 მაისი, 14.00-16.00 სთ.;

*რევმატოლოგი* (სახსრების დაავადებები) – 8 მაისი, 16.00-18.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 9 მაისი, 16.00-18.00 სთ.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

ჭორიშვილმა. ლუსკუმას საკეტები 31-ე ქარხნის მიერ სრულიად უსასყიდლოდ დამზადდა. ლუსკუმას გაუკეთდა ხავერდისა და აბრეშუმის სარჩული, რომლის ნაქარგობაც ეკუთვნის თამარ ერისთავს. მას აქვს წარწერა შემომწირველთა და ოსტატთა სახელებით. წარწერის ტექსტი მოამზადა აწ განსვენებულმა სამონაზვნე ნინომ (წერეთელი).

3 ივნისს ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახ. საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საღვთო ლიტურგიაზე ზეციური დედოფლის შესამოსელი ლუსკუმაში საზეიმოდ ჩააბრძანა. წირვის შემდეგ ლუსკუმაში ჩაბრძანებული ღვთისმშობლის შესამოსელი დადიანების სასახლის მუზეუმში გადაასვენეს.

## სვეტიცხოველში ახალი სამრეკლო იკურთხა

30 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ახლადაგებული სამრეკლო აკურთხა. სამრეკლოს მშენებლობა და ზარების დამზადება ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ დააფინანსა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამრეკლოს კურთხევისას ბრძანა: „ბიბლიაში წერია, რომ „ჟამი არს ნგრევისა და ჟამი არს შენებისა". მადლობა ღმერთს, რომ გავიდა ჟამი ნგრევისა და დადგა ჟამი შენებისა. დღეს მრავალი ტაძარი და მონასტერი შენდება. თქვენ იცით, რომ სვეტიცხოველი განსაკუთრებული ტაძარია და მისი სამრეკლოს მშენებლობაც დიდად საპასუხისმგებლო საქმეა. მინდა დავლოცო ბატონი მამუკა და ყოველი ადამიანი, ვინც მონაწილეობდა ამ მშენებლობაში."

## დაჯილდოება

**2 ივნისს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერში სამღვდელოება დააჯილდოვა:

ფოთის წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გრიგოლ დონდუა – გამშვენებული ჯვრით;

ჭალადიდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი გენძეხაძე – ოქროს ჯვრით;

ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის მწირველი, მღვდელ ილია ლომაიას მიენიჭა დეკანოზის წოდება;

ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელ თევდორე ბასიალიას მიენიჭა დეკანოზის წოდება და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა;

ხეთას მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი კირიონ დარასელია დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით.

* * *

**3 ივნისს** ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახ. საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიანიჭა დეკანოზის წოდება და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა მღვდელმსახურნი:

კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ილარიონ შენგელია,

ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ანდრია ლიპარტია,

მახარიას წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გალაქტიონ ფიფია,

ჭითაწყაროს ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ამბროსი თორდია.

* * *

**1 ივნისს,** ნინოობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მე-7 კლინიკაში მოინახულა მოშიმშილე პატიმარი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი. ამ უკანასკნელმა 22 მაისს უვადო შიმშილობა გამოაცხადა, და შიმშილობის მე-12 დღეს მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნა. კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნით და ლოცვა-კურთხევით – ირაკლი ბათიაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა.

## „თამარის დროშის" ბიბლიოთეკა

სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდ – „თამარის დროშის" ბიბლიოთეკის დაარსება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს აღსაყდრების 30 წლისთავს მიეძღვნა.




პროექტის ავტორია ილუმინე ადამი (ახალაძე), სერიის რედაქტორი – მანანა ტუსკია.

„თამარის დროშის" ბიბლიოთეკამ გამოსცა ნუნუ ქადაგიძის საყმაწვილო წიგნი „უცხო ხილი".

„თამარის დროშის" ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული წიგნების შესყიდვით მკითხველი თავის წვლილს შეიტანს სოფ. შინდისში მშენებარე წმინდა კეთილმორწმუნე მეფე თამარის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში. კომპლექსის ტერიტორიაზე განზრახულია მოხუცებულთათვის სათნოების სახლისა და სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაარსება.

## ინციდენტი თურქეთში

27 მაისს თურქეთში, ართვინის ვილაეთში მდებარე ქალაქ ბორჩხაში უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. თურქი ქართველებით დასახლებულ უბანში, საღამოხანს, საქართველოს ორი მოქალაქე დაუნდობლად სცემეს. ერთი მათგანი სასულიერო პირი - თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის ბერ-დიაკონი მიქაელი (ბრეგვაძე), მეორე – კანადისა და საქართველოს მოქალაქე თეიმურაზ ბეკურიშვილი. როგორც მამა მიქაელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, მათ თავს მოულოდნელად ზურგიდან დაესხნენ და ცე-

## ქრონიკა

### გელათის სიწმინდეები თბილისში

16 ივნისს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (მარგალიტაშვილი) თბილისში თაყვანსაცემად ჩამოაბრძანა სიწმინ-



დეები გელათის საგანძურიდან. ერთ დიდ ხატზე, წმინდანების გამოსახულებასთან ერთად, დამაგრებულია მათივე წმინდა ნაწილები, მათ შორის – წმინდა თომა მოციქულისა, წმინდა დიმიტრი თესალონიკელისა, წმინდა თეოდორე ტირონისა, წმინდა გიორგისა, წმინდა ნიკოლოზისა, წმინდა იოანე ოქროპირისა, წმინდა სამსონისა, წმინდა ბენედიქტესი, წმინდა თეოქტისტესი, წმინდა ემელიანესი და სხვა მრავალთა.

16 ივნისს 17.00 საათზე ხატი საპატრიარქოდან საზეიმო მსვლელობით ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში აბრძანეს. ხატი შუა ტაძარში, ანალოღიაზე დაბრძანდა. 16 და 17 ივნისს მრევლს მიეცა საშუალება მთხვეოდა წმინდა ნაწილებს. 17 ივნისს საღამოს წმინდა ნაწილები მეუფემ კვლავ გელათში გადააბრძანა.

* * *

**13 ივნისს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოპერის თეატრში დაესწრო ბალანჩინისადმი მიძღვნილ საღამოს.

* * *

**14 ივნისს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში ვახტანგ გოგუაძეს სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაუხადა.

* * *

**14 ივნისს** საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა და „ქართულ-უკრაინულმა“ აკადემიამ ჩაატარა ერთობლივი ანტინარკოტიკული აქცია – „ჯანსაღი თაობა ნარკოტიკების გარეშე“. საღამოს მრავალი სტუმარი დაესწრო.

* * *

**15 ივნისს** სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა ახალციხის სოციალურად დაუცველ ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონის აღსაზრდელთა ნახატების გამოფენა-გაყიდვა – „მე ვხედავ ანგელოზს“.

გამოფენა მოეწყო ავსტრიის ავიახაზებისა და ტურ-ოპერატორ „ინტერკონტინენტალის“ ხელისშეწყობით. შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა სკოლა-პანსიონის ანგარიშზე.

* * *

**17 ივნისს** სიონის ბაღში (შარდენის ქუჩისა და ბამბის რიგის გადაკვეთაზე) გაიმართა ფსიქიატრიულ პრობლემათა მქონე პირთა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენა-გაყიდვა ევროპის სტუდენტთა ფორუმის AECEE-სა და თბილისის არქიტექტურული სამშენებლო კომპანია „სასკოს“ მხარდაჭერით ჩატარდა.

* * *

**22 ივნისს** 18.00 სთ-ზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი გიწვევთ გუდიაშვილის №1-ში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, სადაც მოეწყობა XII-XIX სს. ქართული ნაქარგობის გამოფენა.

პროექტის მხარდამჭერია აშშ-ს საელჩო საქართველოში.

### თბილისს ფოთის ახალგაზრდობის საეპარქიო ცენტრის წარმომადგენლები ესტუმრნენ

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრს ფოთელი ახალგაზრდები ეწვივნენ. ფოთისა და ხობის ეპარქიასთან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრ „ნუგეშსა“ და საპატრიარქოს ახალგაზრდობის ცენტრს შორის გაცნობითი შეხვედრა მაისში, ქალაქ ფოთში, შედგა. ფოთში ახალგაზრდობის ცენტრი უკვე მეორე წელია არსებობს. ფოთელმა ახალგაზრდებმა საპატრიარქოში თავიანთი სამოქმედო პროგრამა და რამდენიმე პროექტი წარმოადგინეს. როგორც „ნუგეშის“ ხელმძღვანელმა გურამ ალანიამ აღნიშნა, ცენტრი, ძირითადად, სამი მიმართულებით მუშაობს; ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი – „ბეთლემის ვარსკვლავი“ და მოსწავლეთა ინტელექტუალური კონკურსი – „გლობუსი“, ტარდება სტუდენტური ექსპედიციები.

სამომავლოდ თბილისელმა და ფოთელმა ახალგაზრდებმა ერთობლივი ღონისძიებები დაგეგმეს.

### ხელდასხმა

17 ივნისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მედავითნეს დავით დელიბაშვილს, ხოლო მღვდლად – ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის დიაკონს შოთა ბაბლიძეს.

## ანტინარკოტიკული აქციები თბილისში

26 ივნისს, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია კინოთეატრ „ამირანს“, სადაც დაესწრო ფილმ „სუბორდინაციის“ ჩვენებას. ფილმი ნარკომანების პრობლემებსა და ნარკორეალიზატორებზეა გადაღებული. მისი რეჟისორია ანიკო ქავთარაძე. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ფილმის შესახებ ჟურნალისტებთან აღნიშნა: „ვფიქრობ, რომ ეს ფილმი მხოლოდ კარგი დასაწყისია. აქ არის წარმოჩენილი ადამიანის პიროვნების დეგრადირება, ასახულია სულიერი და ფიზიკური დაცემა.“

აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში, არაოფიციალური მონაცემებით, 350 ათასზე მეტი ნარკომანია.

ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში მოეწყო ანტინარკოტიკული გამოფენა-კონკურსი სახვით ხელოვნებაში – „ნარკომანია მოზარდის თვალით“. ეს ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული ამ ტიპის პირველი აქციაა.

## ხელდასხმა

24 ივნისს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკონს გიორგი თიკანაშვილს, ხოლო დიაკვნად – ქაშვეთის ტაძრის მედავითნეს – ბესარიონ ცინცაძეს.

## სამძიმარი

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურს, იღუმენ ბარსანოფს (მაზმიშვილი) გარდაეცვალა დედა – თამარ პაპასკირი.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული თამარის სული.

# ინფორმაცია

**2007 წლის 6 ივლისს შედგება საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია „რომელმან შექმნა სამყარო“**

**მისამართი: წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.**

**დასაწყისი 11⁰⁰ საათზე.**

**დასწრება თავისუფალია.**

## კონფერენციის თემატიკა

**1. ათეიზმის სიყალბე და უზნეობა – თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის პრობლემა**

მომხსენებელი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ბალათურია

**2. ღვთაებრივი და ამსოფლიური სიბრძნე**

მომხსენებელი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სასულიერო აკადემიის პედაგოგი ზურაბ ცხოვრებაძე

**3. სწავლება შემოქმედებასა და ქმნადობაზე**

მომხსენებელი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ახობაძე

**4. სამყაროს შექმნისა და ჭეშმარიტების მიღწევის შესახებ**

მომხსენებელი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ კეკელიძე

**5. დიდი აფეთქება – მითი თუ რეალობა**

მომხსენებელი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ჯიბლაძე

**6. მართლმადიდებლობა და ევოლუციური მოძღვრება**

მომხსენებელი – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ძოწენიძე

**7. რელიგიის საკითხები კვანტური ფიზიკის თვალსაზრისით**

მომხსენებელი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რობერტ ბაბლიძე

**8. სამეცნიერო პარადოქსების თეოლოგიური ინტერპრეტაცია**

მომხსენებელი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა შოშიაშვილი

**9. წმიდა წერილი და გეოლოგია**

მომხსენებელი – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ვაჟა-იოანე ნადირაძე

**10. ევოლუციური მოძღვრების კრიტიკა ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევების პოზიციებიდან**

მომხსენებელი – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ფირცხელანი

**11. სხვადასხვა ორგანიზმების ჩანასახთა მსგავსება – სიყალბე და სინამდვილე**

მომხსენებელი – ექიმი სვიმონ ცხოვრებაძე

**12. ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელო და მოსწავლეთა მსოფლმხედველობის შესახებ**

მომხსენებელი – მასწავლებელი ხათუნა კაპანაძე

## ახალი სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკომანთათვის

საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრთან გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკომანთათვის:

1. პროგრამა უფასოა,

2. პროექტის მიზანია ადამიანის განთავისუფლება ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულებისაგან,

3. პროგრამა მოიცავს მონაწილეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას:

- ფსიქოლოგიური კონსულტაცია,
- საუბარი სულიერ საკითხებზე მოძღვართან და ცენტრის სპეციალისტებთან,

# ქრონიკა

## შინდისში ახალი ტაძრის საძირკველი იკურთხა

5 ივლისს სოფელ შინდისის თამარწმინდად წოდებულ ადგილზე ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) აკურთხა უფლის მირქმის სახელობის ტაძრის საძირკველი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, წმიდა თამარ მეფის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას სათავეში უდგას ილუ-



მენი ადამი (ახალაძე). არქიტექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გახლავთ ნიკო ზაზუნიშვილი.

სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე კიდევ ერთი - დიდი თამარ მეფის სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობაა გათვალისწინებული. აქვე აშენდება სამრეკლო და ჯვარი ბრძოლის ველზე მომწყდართა სულების საოხად, მოხუცებულთა და ხანდაზმულთა სათნოების სახლი - სამედიცინოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი. მონასტერშივე განთავსდება ჭრაკერვის, ქარგვის, ხის დამუშავების, კერამიკის, ხატწერის სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, საზაფხულო სკოლა ბავშვებისათვის, მოწყალების დების სასწავლო ცენტრი, სამეცნიერო მუშაობის დარბაზი... კომპლექსს დაამშვენებს ბაღები, ნარგავები, ჭა, ფანჩატური...

ამ პროექტის განხორციელებისათვის შეიქმნა სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდი „თამარის დროშა" (პრეზიდენტი გელა გოგიშვილი), რომელმაც უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. გამოვიდა პირველი წიგნი „თამარის დროშის ბიბლიოთეკის" სერიით. გამოჩდნენ პირველი შემომწირველებიც. ქართული ესტრადის ვარსკვლავები თამარწმინდის მშენებლობის საქმეს გასული წლის შემოდგომაზე საქველმოქმედო კონცერტით შეეწივნენ. მალე თავის საქმიანობას დაიწყებს მანდილოსანთა დარბაზი - „თამარი".

*საბანკო რეკვიზიტები:*

ს.ს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი. საბანკო კოდი (მფო) - 220101850. ანგარიშსწორების ანგარიშები: 360800809/GEL, 361800809/USD & EUR. ფონდი „თამარის დროშა".

## ყაზბეგში სამგალობლო სკოლა გაიხსნა

16 ივლისს, გერგეტობის დღესასწაულზე, ყაზბეგში სამგალობლო სკოლა გაიხსნა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გერგეტის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა. წირვის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი ყაზბეგის მართლმადიდებლურ გიმნაზიას ეწვია, რომლის შენობაშიც დაიდებს ბინას ახლად გახსნილი სამგალობლო სკოლა. სკოლის გახსნას დაესწრნენ: ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურნი, სტუმრები თბილისიდან.

სამგალობლო სკოლის გახსნა ყაზბეგში კათოლიკოს-პატრიარქის ფონდთან არსებული „ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრის" ეგიდით განხორციელდა. პროექტი დააფინანსა ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა. ახალი სკოლა თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის ფილიალია.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ორი სკოლა უკვე 4 წელია არსებობს ოზურგეთში. „ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრი" ახლო მომავალში სამგალობლო სკოლების გახსნას გეგმავს სამეგრელოსა და კახეთში.

## დაჯილდოება

13 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სვეტიცხოვლის მღვდელმსახურნი:

დეკანოზი დავით ჯიშკარიანი - მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ავთანდილ ბურდული - მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე - მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი გიორგი ხატიაშვილი - გამშვენებული ჯვრით.

* * *

15 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ჯიხეთის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანდრია კბილაშვილი.

## კათოლიკოს-პატრიარქმა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები დალოცა

15 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დალოცა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები.

სტუდენტთა 105-კაციანი ჯგუფი, ხელმძღვანელებთან - თეიმურაზ დონდუასა და გიორგი მამუკელაშვილთან ერთად გაემგზავრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სიწმინდეების მოსალოცად და დასასუფთავებლად.

## კოჯრის ტაძრის კედელზე წმინდა მეფე თამარის წარწერა განადგურდა

კოჯრის წმინდა სვიმეონ მესვეტეს სახელობის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობა აწარმოებდა. არაპროფესიონალური ჩარევის შედეგად განადგურდა წმინდა მეფე თამარის წარწერა, რომელმაც ცხრაასწლეულს გაუძლო.

სარესტავრაციო სამუშაოები არ ყოფილა შეთანხმებული არც საპატრიარქოსთან და არც კულტურის სამინისტროსთან.

## ხელდასხმა

8 ივლისს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) თბილისის მოციქულთა თავთა - პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის მედავითნეს ვახტანგ ნიკოლაიშვილს დიაკვნად დაასხა ხელი.

## ქრონიკა

### პრეს-კონფერენცია საპატრიარქოში

25 ივლისს საპატრიარქო რეზიდენციაში ჩატარდა პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებისათვის.

ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ა.წ. 29 ივლისს ქ. თბილისში იგეგმებოდა ე.წ. გეი-აღლუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ჰომოსექსუალისტები.

საპატრიარქოს პრეს-მდივანმა დეკანოზმა დავით შარაშენიძემ წაიკითხა სრულიად საქართველოს კა-



თოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ოფიციალური განცხადება, რომელშიც გამოთქმულია ეკლესიის პოზიცია ჰომოსექსუალიზმისადმი. განცხადება იხილით წინამდებარე გაზეთის მე-10 გვერდზე.

### ნუცუბიძის პლატოზე ტაძარი გაიძარცვა

25 ივლისს ღამით დაუდგენელი პირები შეიჭრნენ ნუცუბიძის პლატოს II მ/რ-ში მდებარე ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში (წინამძღვარი დეკანოზი დავით ლონდარიძე). მძარცველებმა ტაძრიდან წაიღეს ყულაბა სამღვდელო შესაწირისთვის და 300 ლარამდე თანხა, რომელიც მრევლს მომლოცველობისათვის ჰქონდა შეგროვებული.

### ხელდასხმა

22 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტს, დიაკონ რევაზ ტულუშს.

* * *

22 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად დაასხა ხელი დავით ოძელაშვილს.

### ტაძრის კურთხევა

2007 წლის 19 ივლისს თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) აკურთხა სოფელ ჟებოტის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორს, პროფესორ დიმიტრი თუმანიშვილს გარდაეცვალა მამა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ (გივი) თუმანიშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული გრიგოლის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების ყოფილი თანამშრომელი ნინო ნოდია და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ნინოს სული.

## ინფორმაცია

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდთან არსებული „ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრი“ აცხადებს დამატებით მიღებას

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში, 2007-2008 სასწავლო წლისათვის, საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე.

სწავლების ფორმა – დღის დასწრებული; ხანგრძლივობა – 4 წელი; სწავლება-ქართულ ენაზე; მისაღები კონტიგენტი - 5 ადგილი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- საშუალო განათლების ატესტატი;
- 6 ფოტოსურათი ზომით 3/4-ზე;
- მოძღვრის რეკომენდაცია;
- პირადობის მოწმობის დედანი (ასლი);
- სამხედრო მოწმობის დედანი (ასლი).

საბუთები მიიღება 20-30 აგვისტოს.

გამოცდები ტარდება შემდეგ სპეციალობებში:

1. მუსიკის თეორია-წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია); (შეფასების კოეფიციენტი 3) – 3 სექტემბერს;

2. სიმღერა-გალობა; აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით (შეფასების კოეფიციენტი 5); (ამავე გამოცდის ფარგლებში ჩატარდება გასაუბრება ქართული ტრადიციული სამუსიკო კულტურის საკითხებზე. გარდა

ხული აქვს ვაკის პარკში, ბოლშევიკების მიერ 1923 წ. ჩვენი სახელოვანი 15 მამულიშვილის დახრეტის ადგილზე, წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის აგება. უკვე მზად არის პროექტიც, არსებობს შესაბამისი დადგენილებაც, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ვერა და ვერ მოხერხდა თბილისის მერიაში. თავად-აზნაურთა საკრებულომ თხოვნით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, შუამდგომლობა გაუწიოს მათ ქალაქის ხელმძღვანელობასთან ამ საკითხის გადაწყვეტაში.

კონფერენციაზე წაიკითხეს მრავალი საინტერესო მოხსენება, მათ შორის აღსანიშნავია: აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორის, შალვა გაბესკირიას მოხსენება – „ბაგრატოვანთა სამეფო გვარის წარმომავლობისათვის", ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოხსენება – „ბაგრატიონთა უწყვეტი მეფობა საქართველოში", თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის გოჩა გუგუშვილის მოხსენება – „წმინდა მეფე თამარის განღმრთობის საღვთისმეტყველო გააზრება", ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ნიკო ჯავახიშვილის მოხსენება – „კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფოს გერბზე" და სხვ. კონფერენციის მასალები კრებულის სახით გამოიცემა.

მარიამ ბატონიშვილის მეექვსე თაობის წარმომადგენლებმა – ქეთევან, ნინო, ირაკლიმ და რევაზ ავალიშვილებმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საჩუქრად გადასცეს ოჯახის უდიდესი რელიკვია – მარიამ ბატონიშვილის სამკერდე ჯვარი. ჯვარი ქალბატონმა ქეთევან ავალიშვილმა გადასცა უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. მარიამ ბატონიშვილის ჯვარს ადგილი მიეჩინება ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის მუზეუმის ექსპოზიციაში.

კონფერენციის მონაწილეებს კათოლიკოს-პატრიარქი მსუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდა. საღამო დაამშვენა პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა, რომელმაც წაიკითხა თავისი ლექსები სამშობლოზე; საღამოზე იგალობა საპატრიარქოს საკვირაო სკოლის ხელმძღვანელის ლია სალაყაიას მგალობელთა გუნდმა.

ახალგაზრდა ჩოხოსანმა რიჩარდ ნიჟარაძემ უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს სთხოვა ლოცვა-კურთხევა, რომ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში თავად-აზნაურობას ნება დაერთოს, წარდგეს სამეფო ამალითა და დროშებით.

შეხვედრის დასასრულს შეკრებილ საზოგადოებას მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ:

***„ბატონიშვილებო, ქალბატონებო და ბატონებო! დღეს არის ნამდვილად ისტორიული დღე. ჩვენი შეკრება შედგა სვეტიცხოველში, სადაც ყველა მეფეს, დედოფალს, კათოლიკოს-პატრიარქს მუხლი მოუყრია, ულოცია საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ ის, რომ მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი კულტურა, ჩვენი სულიერება ეფუძნებოდა ბაგრატიონთა გვარს. ბაგრატოვანნი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქართველო გაბრწყინებულიყო. ეს არ არის უბრალო საქმე. ბაგრატიონთა წარმომადგენლები იყვნენ ერის სათავეში სულიერადაც. თქვენ ბრძანეთ, ქალბატონო ია, რომ ბაგრატიონთა გვარი ტრაგიკული გვარია. პირველობა საერთოდ ტრაგიკულია. ვინც არის პირველი, ის ხდება სამიზნე. მაგრამ მაინც ბედნიერია ბაგრატოვანთა გვარი და მე ვფიქრობ, რომ ლოცვა-კურთხევა დავითისა და სოლომონისა დღემდე მოსდგამს თქვენს გვარს. ბაგრატიონთა გვარი იყო და არის კლდე, რომელსაც ეყრდნობოდა ჩვენი წარსული და რომელსაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი მომავალი. თქვენ იცით, მაცხოვარმა პეტრეს უწოდა კლდე და ამიტომ მე მინდა სწორედ პეტრე მოციქულის ვერცხლის ხატი მოგართვათ.***

***რაც შეეხება მომავალს, მომავალი ღვთის ხელშია და მე იმედი მაქვს, რომ ბაგრატიონთა გვარი კვლავ იმეფებს საქართველოში.***

***დალოცვილი და გახარებული იყავით თქვენ და სრულიად საქართველო.***

***მინდა დავლოცო და მადლობა მოვახსენო იმ ოჯახს, რომელმაც გადმოგვცა მარიამ ბატონიშვილის ეს ძვირფასი ჯვარი."***

***„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია ქ-ნ ია ბაგრატიონ-მუხრანელთან ინტერვიუს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.***

## ხელდასხმა

25 ივნისს სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარში სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტი ზურაბ სულუაშვილი და სახელად თევდორე უწოდა. მამა თევდორე სოფელ ახალქალაქის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

12 ივლისს სვეტიცხოვლის 12 მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტმა ისააკმა (ლადუა) ბერად აღკვეცა მამა დავითის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბასილ კოკვაძე და სახელად იოანე უწოდა.

* * *

12 ივლისს ნიქოზის წმინდა რაჟდენ პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა ისაიამ (ჭანტურია) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ რევაზ გინტურს. მამა რევაზი ქურთას ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

22 ივლისს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონს არჩილ ქიტუაშვილს. მღვდელი არჩილი კაზრეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

* * *

22 ივლისს რუისის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ბერი შიო (ჯოხაძე).

* * *

29 ივლისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი

ოლიანკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის ბერ-დიაკონ საბას (ქირია).

* * *

5 აგვისტოს ახალციხის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ვეფხვია ჭიტაძე და სახელად გიორგი უწოდა. დიაკონი გიორგი დროებით თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

5 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერ-დიაკონ ექვთიმეს (ბუსკანძე).

* * *

5 აგვისტოს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან ვახტანგ ნიკოლაიშვილს. მღვდელი ვახტანგი ერთი თვით იმსახურებს თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში, შემდეგ კი განამწესებენ თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში.

* * *

5 აგვისტოს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა დავით მესხი. დიაკონი დავითი ბოლნისის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ბასილ როსტიაშვილს. მღვდელი ბასილი თბილისის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 აგვისტოს შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ბათუმის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული კახაბერ ლომიძე და სახელად გაბრიელი უწოდა. დიაკონი გაბრიელი ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 აგვისტოს ახალციხის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ვეფხვია სამხარაძე და სახელად სერაპიონი უწოდა. დიაკონი სერაპიონი დროებით თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 აგვისტოს ნინოწმინდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა მერაბ დეკანოსიძე. დიაკონი მერაბი ნინოწმინდის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

19 აგვისტოს მცხეთაში, სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში ახალციხის, ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული გიორგი კიკვაძე. დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტამარში იმსახურებს.

* * *

19 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა ამავე ლავრის ბერი იოანე (კავსაძე).

* * *

26 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერდიაკონ გიორგის (თელია).

* * *

1 სექტემბერს გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) დიაკვნად აკურთხა სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერი ილია (კარტოზია).

* * *

1 სექტემბერს პატარძეულის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ეკლესიაში ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერი ანტონი (ფიჩხაია).

* * *

3 სექტემბერს ურბნისის წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ შიოს (ჯოხაძე). მღვდელმონაზონი შიო სურამის წმინდა იობ მრავალვნებულის სახელობის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში იმსახურებს. იმავე დღეს დიაკვნად აკურთხა ურბნისის საკათედრო ტაძრის იპო-დიაკვანი გიორგი ნამგალაური.

## ბერად აღკვეცა

11 ივლისს თბილისის თაბორის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფირცხალაიშვილი) ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი დემეტრე დავითაშვილი და სახელად დავითი უწოდა.

* * *

24 აგვისტოს ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) ბერად აღკვეცა მორჩილები: კახა ბერიძე (სახელად ეწოდა დავითი), იასონ ხუციშვილი

(სახელად ეწოდა ანტონი), ზაზა ქობალია (სახელად ეწოდა გრიგოლი) და ოთარ ქარუმიძე (სახელად ეწოდა ისიდორე). ბერი დავით გორის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში დაადგინეს, ხოლო - ბერი ანტონი, ბერი გრიგოლი და ბერი ისიდორე ქვათახევის მონასტერში გაამწესეს.

* * *

26 აგვისტოს ატენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერში სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) სამონაზვნეებად აკურთხა ამავე მონასტრის მორჩილები: ეკატერინე ნოზაძე (სახელად ეწოდა თეკლა), ქეთევან გოცირიძე (სახელად ეწოდა ანტონია), თამარ ასთავიშვილი (სახელად ეწოდა ანასტასია), ნანა ზედგენიძე (სახელად ეწოდა თებრონია), ლია ძიძიგური (სახელად ეწოდა მაკარია), ნატალია აფხაიძე (სახელად ეწოდა ანატოლე) და ნათია ჩახნაშვილი (სახელად ეწოდა ეფროსინე). იმავე დღეს მორჩილის კაბით შეიმოსნენ: ქეთევან აფხაიძე, თამარ აროიანი და ეკატერინე ნადირაძე.

## ტაძრის კურთხევა ბორჯომში

1 აგვისტოს ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუა) აკურთხა ბორჯომის წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესია.

## ოზურგეთში საკათედრო ტაძარი იკურთხა

3 სექტემბერს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი და პირველი წირვა აღავლინა.

ტაძრის ქტიტორია ცნობილი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი.

წირვის შემდეგ ახალნაკურთხ ტაძარს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და შეასრულა ღვთისმშობლის პარაკლისი. უწმინდესი



მა და უნეტარესმა დალოცა ჩხარტიშვილების ოჯახი და გადასცა მათ სამახსოვრო საჩუქრები. კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგების ტექსტი იხილეთ მე-5 გვერდზე.

## წირვა საგურამოში

2007 წლის 12 სექტემბერს 100 წელი შესრულდა წმინდანის გარდაცვალებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით საგურამოში წმინდა ილია მართლის სახელობის მონასტერში წირვა აღასრულა მღვდელ-მონაზონმა ამბროსიმ (მაღლაკელიძე). წირვას ადგილობრივი და თბილისელი მრევლი დაესწრო.

## წირვა ძეგვში

ამა წლის 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაულზე, სოფელ ძეგვში,ციხედიდის ისტორიულ ხეობაში არსებულ მე-16 საუკუნის, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში, რომელიც სულ რამოდენიმე წლის წინ აღადგინა გიორგი (გია) ცხაკაიამ და მისმა ოჯახმა, ჩატარდა საღმრთო ლიტურგია.წირვა აღავლინა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე, წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა ილია მაღლაფერიძემ. წირვას დაესწრო და ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს ეზიარა, როგორც ადგილობრივი მრავალრიცხოვანი მრევლი ასევე თბილისიდან ჩასული მომლოცველები. მრევლის განსაკუთრებულ სიხარულს იწვევდა ის გარემოება, რომ აგერ უკვე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როგორც იქნა ღვთის წყალობით მოხერხდა და კვლავ აღევლინა სადღესასწაულო წირვა ამ უძველეს ტაძარში.

## ბათუმში დედათა მონასტერი იკურთხა

მალე ბათუმს ახალი სამონასტრო კომპლექსი დაამშვენებს.

9 სექტემბერს ბათუმში, ყოვლადწმინდა სამების მთაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დედათა მონასტერი აკურთხა. კურთხევას დიდძალი მრევლი დაესწრო. სამონასტრო კომპლექსში იკურთხა შალვა ახალციხელის სახელობის მცირე ეკლესია.

მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე კათოლიკოს-პატრიარქმა დაათვალიერა ყოვლადწმინდა სამების სახელობის მშენებარე ტაძარი. ამ ეტაპზე აქ მოზაიკური სამუშაოები და ტაძრის პერანგით შემოსვა მიმდინარეობს.

ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) კურთხევით ხორციელდება. სამონასტრო კომპლექსის ქტიტორია მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, ბატონი შალვა ბრეუსი.





მოს შეხვედრას ცაგერში ახევე დაესწრნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი).

იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ,, წმინდა სინოდის წევრებთან ერთად,, ცაგერში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის საძირკველი აკურთხა.

**აღკვეცა**

27 აგვისტოს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსმა შიომ (მუჯირი) ზემო თეკლათის დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცა სამონაზვნე ეკატერინე (გუნია).

**ხელდასხმა**

5 აგვისტოს ურბნისის წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ლევან ქლენტი და სახელად ლონგინოზი უწოდა. იმავე დღეს მღვდლად დაასხა ხელი ურთხვას წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის ბერ-დიაკონ ელიოზს.

* * *

16 სექტემბერს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოსმა შიომ (მუჯირი) დიაკვნად აკურთხა სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მედავითნე გელა ტყებუჩავა და უწოდა მას სახელად გიორგი.

* * *

16 სექტემბერს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა შუხუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნე და ქუთაისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი მერაბ ფირცხალაიშვილი და სახელად მირიანი უწოდა. დიაკონი მირიანი ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

16 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი. ამავე ტაძრის დიაკონს ვახტანგ კვირიკაძეს.

მღვდელი ვახტანგი სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

**საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის განცხადება**

19 სექტემბერს, ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით საკითხებზე შედგა შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიართან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-სთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: სინოდის წევრები – ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), ჭყონდიდელი ეპისკოპოსი პეტრე (ცაავა), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, ურბნისის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ლევან ტურძელაძე; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და საპატრიარქოს სამეცნიერო საბჭოს წევრები მარიამ დიდებულიძე და გიორგი გაგოშიძე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ურბნისის საკათედრო ტაძარში შეწყდა სარესტავრაციო სამუშაოები და გადაწყდა, შეიქმნას ერთობლივი კომისია საპატრიარქოს სამეცნიერო საბჭოსა და კულტურის სამინისტროს სპეციალისტების შემადგენლობით, რომელიც მოივლის ეპარქიებს და აღრიცხავს ყველაზე მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტრებს. კომისია გაითვალისწინებს მღვდელმთავრების სურვილებს ხსენებული ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სარესტავრაციო სამუშაოების სწორი წარმართვისათვის. უახლოს დროში კომისია მოივლის რუის-ურბნისის ეპარქიას, რომელიც მდიდარია ძველი და ძალზე მნიშვნელოვანი ტაძრებით.

## ინფორმაცია

**ჭყონდიდობის დღესასწაული მარტვილში**

25 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქო და ქ. მარტვილის მუნიციპალიტეტი ზეიმობს დიდი მღვდელმთავრის, მწიგნობართუხუცესისა და წმინდა დავით აღმაშენებლის მოძღვრის – წმინდა გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს – ჭყონდიდობას.

ამასთან დაკავშირებით, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 24-25 სექტემბერს მარტვილს ესტუმრება.

24 სექტემბერს იკურთხება ახალი საპატრიარქო რეზიდენცია, ხოლო 25 სექტემბერს საზეიმო წირვას მარტვილის ღვთისმშობლის VII საუკუნის ტაძარში შეასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

წირვის შემდეგ შესრულდება მარტვილის რაიონულ ცენტრში აღმართული ჯვრის კურთხევა.

**ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმში სიახლეა**

თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმში ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფილებაზე ბაღის უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

სამღვდელოების შვილებისათვის სწავლა უფასოა.

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი 2001 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სკოლა-ლიცეუმში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის პროცესი წარიმართება მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ტრადიციების, ღირსების, ზნეობის, ცოდნის განვითარება-გაღრმავების საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს, სწავლობენ რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ოქრომჭედლობას, ხრიდოლს, ჭადრაკს,

# ქრონიკა

## მართლმადიდებლური ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი" ბათუმში

22 სექტემბერს ბათუმში გაიხსნა მართლმადიდებლური ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი". ფესტივალი ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მისი აღსაყდრებიდან 30-წლისთავს ეძღვნება. ფესტივალი საზეიმოდ გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი).

22 სექტემბერს ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, სულიერების ამაღლებაში გაწეული ღვაწლისთვის საპატრიარქოს რადიო



„ივერია" „წმინდა ანდრიას ჯვრით" დაჯილდოვდა.

ფესტივალზე ფილმები წარადგინეს: აშშ-ს, სერბეთის, უკრაინის, ესტონეთის, იტალიისა და რუსეთის კინოხელოვანებმა, სულ 38 ნამუშევარი. საუკეთესო ფილმს 9-კაციანი ჟიური დაასახელებს, რომელსაც კინომცოდნე მარიკა კურესელიძე ხელმძღვანელობს. ფესტივალის ბოლო დღეს – 26 სექტემბერს ჟიური გამოავლენს საუკეთესო რეჟისერას, საუკეთესო დოკუმენტურ ფილმსა და საუკეთესო ოპერატორს.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ფოტოხელოვანთა გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბათუმის მესამე საპყრობილის პატიმრებმა, რომელთაც საგანგებოდ გააგზავნეს თავიანთი ნამუშევრები.

## კათოლიკოს-პატრიარქი უცხოელ პარლამენტარებს შეხვდა

24 სექტემბერს საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და



უნეტარესმა ილია II-მ ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნების პარლამენტთა თავმჯდომარეები მიიღო. უცხოელ სტუმრებს თან ახლდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. კათოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტარებთან საუბარში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას შეეხო და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა ცდილობს, პრობლემები მშვიდობიანად მოაგვაროს საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით.

სტუმრებმა მადლობა მოახსენეს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ დრო გამონახა მათი მიღებისათვის. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

## კათოლიკოს-პატრიარქი სამეგრელოს ეწვია

24-26 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოსა და ქ. მარტვილის მუნიციპალიტეტის ეგიდით ჭყონდიდობას დღესასწაული გაიმართა. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მარტვილს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

24 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ახალი საპატრიარქო რეზიდენცია აკურთხა.

25 სექტემბერს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის VII საუკუნის ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ზეიმზე საგანგებოდ ჩამოსულ ათ მღვდელმთავართან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა.

წირვის შემდეგ შესრულდა მარტვილის რაიონულ ცენტრში აღმართული ჯვრის კურთხევა.

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოინახულა სოფელ ჭყონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ტაძარი, ახევე სოფელ სალხინოს წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია და სამონასტრო კომპლექსი. სოფელ სალხინოში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოილოცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია.

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეპარქიის სამღვდელოება დააჯილდოვა:

სოფელ გულკარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, მღვდელ კონსტანტინე კაჭარავას დეკანოზის წოდება მიენიჭა და ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა;

სოფელ თამაკონის ამაღლების სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს მღვდელ იოანე თოდუას დეკანოზის წოდება მიენიჭა და ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა;

სოფელ ბალდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, მღვდელ-მონაზონ ათინოგენეს (მდივანი) იღუმენის წოდება მიენიჭა;

ქალაქ მარტვილის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, მღვდელ-მონაზონ ილიას (მარგველაშვილი) იღუმენის წოდება მიენიჭა.

26 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია სოფელ სუჯუნის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერს, სადაც დაათვალიერა მონაზვნების მიერ შესრულებული თექის ნაკეთობები.

## დაჯილდოება

**21 სექტემბერს,** ღვთისმშობლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი სვიმონ ნუცუბიძე დააჯილდოვა მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

* * *

**23 სექტემბერს** ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით და

მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ლავრენტი ბეთლემიშვილი.

* * *

23 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა:

გამშვენებული ჯვრით და მიტრის ტარების უფლებით – დეკანოზი დავით ნოზაძე;

ნაროყალას, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი – გამშვენებული ჯვრით;

ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი თევდორე გოგოლაძე – გამშვენებული ჯვრით.

## ახალგაზრდული ცენტრის ახალი ინიციატივა

**„დევნილების საზოგადოებრივი თანადგომა და რეინტეგრაცია"**

2007 წლის 22-23-24 სექტემბერს, **უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,** საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდულმა ცენტრმა განახორციელა დევნილთა თანადგომის პირველ პროექტი ქ. წყალტუბოში კომპაქტურად დასახლებულ დევნილებისათვის.

პროექტის განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ საქართველოს ეკლესიის რამდენიმე ეპარქია და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიებები:

**22 სექტემბერი** – აქციის პირველი დღე: დევნილთა სამედიცინო-პროფილაქტიკური შემოწმება;

**23 სექტემბერი** – აქციის მეორე დღე:

გაგრძელდა დევნილთა სამედიცინო-პროფილაქტიკური შემოწმება

ჩატარდა ლექცია თემაზე – „აფხაზეთი ქართულ კულტურულ პოლიტიკურ-სივრცეში".

გამომსვლელები:

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ გვანცელაძე;

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ შოშიტაიშვილი;

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ტარიელ ფუტკარაძე;

მოეწყო პროგრამის ოფიციალური წარდგინება და ჩატარდა კონცერტი

**24 სექტემბერი** – აქციის მესამე დღე:

ქ. წყალტუბოს № მე-4 საჯარო სკოლას გადაეცა ბიბლიოთეკა დევნილი ბავშვებისათვის;

წყალტუბოს ფერისცვალების მშენებარე ტაძარში ჩატარდა პარაკლისი და აფხაზეთში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი;

მოეწყო დოკუმენტური ფილმის, შემდეგ კი ანიმაციური ფილმების ჩვენება;

აქცია მიმდინარეობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარის, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ხელმძღვანელობით, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატესა და ქუთაის-გაენათის ეპარქიის სამღვდელოების მხარდაჭერით.

## სრულიად საქართველოს მესამე ფესტივალი „ქართული საგალობელი"

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძველი ქართული გალობა არის საეკლესიო ტრადიციის წმიდად დამცველი, შეურყვნელი, უძველესი და, ამასთან, შუასაუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთადერთი მრავალხმიანი, ანალოგიის არმქონე პოლიფონია, რაც მის უნიკალობას განაპირობებს", – ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ამ უნიკალური ფენომენის – მრავალხმიანი ქართული გალობის – ტრადიციის აღორძინება, პოპულარიზაცია, ქართულ ღვთისმსახურებაში კვლავდამკვიდრება, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ეროვნული კულტურისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების პროპაგანდის ხელშეწყობა გახლდათ 2001 წელს დაარსებული ქართული გალობის ფესტივალის მიზანი.

ფესტივალის იდეა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში დაიბადა. თანაორგანიზატორია საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, პროექტის დირექტორი – საჩხერის წმიდა ნინოს ტაძრის მგალობელი, საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის იმერეთის რეგიონის თავმჯდომარე ლია ვეშაპიძე.

წელს ფესტივალი მესამედ გაიმართა. ორი დღის მანძილზე საჩხერის კულტურის ცენტრმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და დედაქალაქიდან ჩამოსულ 50-მდე მგალობელთა გუნდსა და ფოლკლორულ ანსამბლს უმასპინძლა.

ფესტივალი აკურთხა და მონაწილეები დალოცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი). ფესტივალს სტუმრობდნენ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ანდრია, მესტიის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი, სხვა სასულიერო პირები, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ფესტივალის კონცერტები ხმის ჩამწერი სტუდიის მეშვეობით ჩაიწერა. ცენტრს განზრახული აქვს კომპაქტალბომების გამოცემა და მონაწილეებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

ტრადიციულად, ფესტივალზე იმუშავა სპეციალისტთა ჯგუფმა (მალხაზ ერქვანიძე, კობა ბერიაშვილი, ქეთევან მათიაშვილი, ნანა ვალიშვილი, თეა კასაბური), რომელთაც მონაწილეებს ზოგადი პროფესიული რჩევები და კონკრეტული შენიშვნები მისცეს რეპერტუარის სწორად შერჩევის, სამგალობლო სტილისა და საშემსრულებლო მანერის შესახებ.

## საქართველოში პირველად გამოიცა „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი"

ქართველი საზოგადოება ფრიად სასიხარულო მოვლენის მომსწრე გახდა " ქართველ მეცნიერთა ხანგრძლივი და თავდაუზოგავი შრომის შედეგად საქართველოში პირველად გამოიცა „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი".

### კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა საპყრობილეში ირაკლი ოქრუაშვილი მოინახულა

1 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ირაკლი ოქრუაშვილი საპყრობილეში მოინახულა კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაგზავნილი ხილი, ლოცვანი, ფსალმუნი, ჯვარი და სანთლები გადასცა.

### წმინდა ქეთევან წამებულისადმი აღვლენილი სავედრებელი პარაკლისი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმში

ქეთევანობის დღესასწაულზე ლონდონში, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმში დედოფალ ქეთევანის წმინდა ნაწილებთან საქართველოდან საგანგებოდ ჩასულმა მღვდელმთავრებმა სავედრებელი პარაკლისი აღავლინეს.

რამდენიმე წლის წინ დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ქართულმა დიასპორამ ლონდონის მუზეუმის ექსპონატებს შორის ბიზანტიურ განყოფილებაში აღმოაჩინა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები. მიიჩნეოდა, რომ ისინი ბიზანტიელ დედოფალს ეკუთვნოდა.

რამდენიმე წელია, ქართული დიასპორა ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმს თხოვნით მიმართავს, მორწმუნე ქართველებს მისცენ საშუალება, თაყვანი სცენ და ლოცვა აღავლინონ ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების წინაშე. ყოველწლიურად მუზეუმის დირექცია ქართველებს თავაზიანი უარით ისტუმრებდა. წელს, ღვთის წყალობით, ქართველებისთვის ლონდონის მუზეუმში საგანგებოდ გამოიტანეს წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები.

ლონდონში საქართველოდან საგანგებოდ ჩავიდნენ დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია) და ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია).

ასევე უცხოეთში მოღვაწე ქართველი მღვდელმსახურები: არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი) და დეკანოზი მალხაზი.

პარაკლისს მრავალრიცხოვანი ქართველი მრევლი დაესწრო და ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები ბაჯაღლო ოქროშია ჩასმული და მას მინანქარში შესრულებული წმინდა გიორგის გამოსახულება ამშვენებს.

### ხელდასხმა

11 აგვისტოს ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ლუკა ხუნდაძე. დიაკვანი ლუკა ურბნისის წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

***

27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი მთავარდიაკონ დიმიტრი სარჯველაძეს.

***

28 სექტემბერს, წმინდა იოსებ ალავერდელის ხსენების დღეს, ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში ამბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე) ლამისთვის მსახურება აღავლინა ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) და სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) თანამწირველობით.

საღმრთო ლიტურგიაზე ამბა დავითმა დიაკვნად აკურთხა ალავერდის მამათა მონასტრის სქემმონაზონი იოსები (ლეჟნიძე).

***

30 სექტემბერს ახალციხის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი წალკის წმინდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის მამათა მონასტრის ბერ-დიაკვან ანგიას (ბრეგვაძე) და დაიკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის ბერი იოანე (ტოგონიძე). მამა ანგია წალკის მამათა მონასტ-

რის წინამძღვრად დაინიშნა, ხოლო ბერ-დიაკვანი იოანე სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

## პარაკლისი ნარკომანებისა და ალკოჰოლიკებისათვის

27 სექტემბერს ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად სამთავისისა და გორის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა.

მთავარეპისკოპოს ანდრიას ლოცვა-კურთხევით, 2007 წლის 18 მაისიდან (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის - „შეუსმენელი ბარძიმის“ ხსენების დღიდან) ნარკომანთა და ალკოჰოლიკებისთვის ყოველკვირეულად საგანგებო სავედრებელი პარაკლისი აღევლინება. პარაკლისები ტარდება გორის ციხესთან არსებულ ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მცირე ტაძარში, ყოველ ხუთშაბათს, 13.00 საათზე.

## ტაძრის კურთხევა

2007 წლის 1 ოქტომბერს საჩხერის რაონის სოფელ ჩიხაში წმინდა სამების სახელობის ტაძარი გაიხსნა. კურთხევას ესწრებოდნენ და საზეიმო წირვაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მღვდელმსახურები: არქიმანდრიტი ზოსიმე (ყაველაშვილი), დეკანოზი მიქაელი (კირვალიძე) და მღვდელი არკადი (ივანიშვილი). აღნიშნული ტაძარი თავდაპირველად 1910 წელს ბერძენმა მშენებლებმაააგეს. ჟამთა სიავისა თუ დაუდევრობის წყალობით, ტაძარი მალევე დაინგრა, დაიკარგა სიწმინდეები, საკურთხეველი მრავალწლოვანი მცენარეებით დაიფარა.

XXI საუკუნის დასაწყისში ქველმოქმედ გოჩა ჭიღლაძის შემწებით ტაძარი თავიდან აშენდა, მოიხატა კედლები, შემოწირულობებით დაიწერა ხატები და დამზადდა სხვადასხვა საეკლესიო ნივთი.

საჩხერის რაიონში ამჟამად ექვსი მოქმედი მღვდელმსახურია. სოფელ სხვიტორის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელი (კირვალიძე) გარჯასა და შრომას არ აკლებს როგორც თავის ტაძარს, ისე სოფელ ჩიხას წმინდა სამების ახლად გახსნილი ტაძრის მრევლს. საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ მამა მიქაელმა ტაძარში შეკრებილ მცირერიცხოვან მრევლს ტაძრის კურთხევა მიულოცა და აღნიშნა: „რაოდენ სასიხარულო დღე დაუდგა ჩვენს სოფელს და რა ცოტა ადამიანი შეიკრიბა ამ უდიდესი ტაძრის კურთხევაზე; ეს მეტად გულსატკენია, მაგრამ უფლის შემწეობით, ხალხი გონს მოეგება და სარწმუნოებას, ტაძარს, ღმერთს მალე დაუბრუნდება!“

## კრწანისის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი

29 სექტემბერს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ორთაჭალის ბაღში გამართულ კრწანისის ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის საღამოს დაესწრო. ჩატარდა დიდი პანაშვიდი, ფოლკლორულმა კოლექტივებმა მცირე საკონცერტო პროგრამა' წარმოადგინეს. ღონისძიება მომზადდა ბრძოლის ველზე არსებული წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახურების - დეკანოზ ბესარიონ მენაბდისა (წინამძღვარი) და დეკანოზ აბრაამ სოლომონაშვილის მრევლის მიერ.

*1795 წლის 24 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანის 35-ათასიანმა მხედრობამ ერეკლე II-ის 4-ათასიანი ჯარი უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა. ბრძოლის შემდეგ დამპყრობელმა თბილისი სრულად მოაოხრა. შეიპყრო თბილისის მიტროპოლიტი დოსითეოზი და ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მღვდელმთავარი უარის შემდეგ აწამეს და მტკვარში დაახრჩვეს. წმინდა დოსითეოზის ხსენება ახალი სტილით 25 სექტემბერს აღინიშნება.*

*სამასი არაგველის, ვახტანგ ბატონიშვილის, გიორგი გურამიშვილის, მაჩაბელის და სხვათა გმირობის მიუხედავად, ამ ბრძოლამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქიშპობის მძიმე სენით დაავადებული იმდროინდელი საქართველოს შემდგომ პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრაში.*

## კონსერვატორიის იუბილე

30 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს დაესწრო.

თბილისის კონსერვატორია ამიერკავკასიაში ყველაზე ადრე დაფუძნებული უმაღლესი სასწავლებელია (1917წელს). ხელოვნების ამ ტაძრის კურსდამთავრებულები, გარდა საშემსრულებლო სფეროში მსოფლიო რეზონანსის მიღწევებისა, წარმატებით მოღვაწეობდნენ საეკლესიო მუსიკის დარგშიც.

ეა) წმიდანის ხსენების დღის პატივსაცემად საზეიმო წირვა აღავლინა. წირვას ესწრებოდნენ როგორც ეპარქიის მრევლი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

**27 ოქტომბერს** ჯვართამაღლების დღესასწაულზე სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსის ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით გორის რაიონ სოფელ ორთაშენში მოსახლეობის ძალისხმევით ჯვარი აღიმართა. ჯვარი გორის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმა გედეონმა (შალაშვილი) აკურთხა.

**დაჯილდოება**

**7 ოქტომბერს** ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება: ***არქიმანდრიტის წოდებით:*** ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი მიქაელი (მეგენეიშვილი), მზიანის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი პეტრე (ანდღულაძე), უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი მარკოზი (გურგენიძე). ***ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით:*** გრიგოლეთის წმინდა გრიგოლი ღვთისმეტყველის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ზაბულონი (ხუბუკელაშვილი), შემოქმედის მაცხოვრის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ელიზბარი (ბაბუხადია), ლიხაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიისა და აჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი მღვდელმონაზონი იოსები (ღლონტი). ***მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა:*** ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილი კვირჩილაძე და ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ,დეკანოზი სვიმონი სვანიძე. **დეკანოზის წოდებით:** ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი თომა სიხარულიძე და შუხუთის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი საბა ღლენტი. **ოქროს ჯვრით:** სამების ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ღლენტი და ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი ბესარიონ ლომინეიშვილი.

**ხელდასხმა**

**7 ოქტომბერს** ურბნისის წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან ლონგინოზ ღლენტს. მღვდელი ლონგინოზი ავლევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოში არსებული დედათა მონასტრის სქემ-მონაზონი ზოსიმა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის დას - მონაზონ ანასტასიას და მათ ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული დედა ზოსიმას სული.

***



**გარდაიცვალა** საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თანამშრომელი, არქიტექტორ-რესტავრატორი რევაზ ცხადაძე. ხუროთმოძღვრების ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს: მეუღლეს – ნინოს, მამას – გიორგის, შვილებს – მარიამსა და გიორგის.

რევაზ ცხადაძე წლების მანძილზე მუშაობდა ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენაზე. საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში მუშაობის პერიოდში მას არაერთი ეკლესიის აღდგენაზე უმუშავია. მათ შორის აღსანიშნავია: ატენის წმ. ბარბარეს ეკლესია (2003), ჭელიშის მონასტრის წმ. ამბროსი ხელაიას ეკლესია (2003), მეორე ტოლას წმ. გიორგის ეკლესია (2004), ღვარდიას მაცხოვრის ეკლესია (2004), ულუმბოს წმ. გიორგის ეკლესია (2006), კავთისხევის კატაულას ეკლესია (2006), „მწვანე მონასტრის" წმ. გიორგის ეკლესია (2007), გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესია (2007) და სხვა. მის მიერ არაერთი ეკლესიაა დაპროექტებული. სწორედ რევაზ ცხადაძის პროექტით აშენდა თბილისის წმ. ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძარი იპოდრომთან.

რევაზ ცხადაძის ბოლო პროექტები საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე ამა წლის 19 სექტემბერს დამტკიცდა. ამ პროექტების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ანაგას ფერისცვალებისა (ბოდბის ეპარქია) და შილდის ტურისციხის (ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია) ეკლესიების რეაბილიტაცია. ზოგი რამ კი დაუმთავრებელი დარჩა...

რევაზ ცხადაძე დაუღალავად შრომობდა და პირველსავე დაძახებაზე მიდიოდა ძველი სალოცავების სანახავად, რათა მათი აღდგენისთვის ხელი შეეწყო.

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული რევაზის სული, რათა უფალმა შეიწიროს მისი შრომა და ქრისტიანული ღვაწლი და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

***საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი***

**გამოიცა ახალი წიგნი – ბერი ეფრემ ფილოთეველის „მამობრივი დარიგებანის" ქართული რედაქცია**

გამოვიდა ბერი ეფრემ ფილოთეველის წიგნის – „მამობრივი დარიგებანი" – პირველი ნაწილი.

წიგნი დაიბეჭდა ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით და ავტორის ნებართვით.

გამომცემელია თბილისის იოანე ნათლისმცემლის სავანე – „ჩაკიდული თხემები".

წლების მანძილზე, წიგნზე მუშაობა ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში მიმდინარეობდა და შემდეგ, თბილისის



ბულბულა, ან შუშანქალა ეკლესიას? ჩნდება კითხვა და ამას თავად ამბავი პასუხობს.

წიგნი დაიბეჭდა საპატრიარქოს გრიფით, რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ. რეცენზენტები: სერგო ვარდოსანიძე და გოჩა გუგუშვილი.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორები არიან: ზაირა სხირტლაძე და რუსუდან დარჩიაშვილი, რედაქტორი ამირან არაბული, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.

„იამბე, ციხის ნაშალო. . ." დააინტერესებს როგორც ისტორიკოსს, ასევე ეთნოგრაფს, ლიტერატორს და, რასაკვირველია, ფართო მკითხველს. ბევრი აქ გადმოცემული ამბავი მოგვითხრობს ქართველთა მძიმე ყოფას, გმირობას, სარწმუნოებისათვის და ქვეყნისთვის თავგანწირვას.

წიგნს დართული აქვს ციხეტაძრების სურათები და ამითაც ამდიდრებს მკითხველის ცოდნას ჩვენს დედა ისტორიაზე.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა ბანკირებმა და ბიზნესმენებმა იქვე შეიძინეს დიდი რაოდენობით წიგნი და საჩუქრად გადასცეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლებს.

**დაჯილდოება**

**28 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ** წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი კახაბერ კურტანიძე, დააჯილდოვა ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდება მიანიჭა.

**ხელდასხმა**

29 ოქტომბერს, მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა), აკურთხა სამღვდელო დიაკვნად მამუკა ჯიბლაძეს და უწოდა სახელი მიქაელი.

## ინფორმაცია

**ათონის წმინდა მთიდან საქართველოში კიდევ ერთი ღვთისმშობლის ხატი ჩამობრძანდება**

1 ნოემბერს ათონის მთიდან საქართველოში ჩამობრძანდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი - კოლხეთის ღვთისმშობელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხატი საგანგებოდ ფოთის საკათედრო ტაძრისთვის დაწერეს ათონის წმინდა მთის ბერებმა.

1 ნოემბერს თბილისის აეროპორტში ხატი 15.30 სთ-ზე ჩამობრძანდება.

აეროპორტიდან ხატს საზეიმოდ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში გადააბრძანებენ, სადაც იგი ფოთში გამგზავრებამდე, რამდენიმე დღეს დაჰყოფს და მორწმუნეებს მიეცემათ საშუალება, მიბრძანდნენ და თაყვანი სცენ ზეციურ დედოფალს.

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი – 3 ნოემბერს, 15.00-16.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) – 3 ნოემბერს, 14.00-16.00 სთ.;

პულმონოლოგი (ფილტვის დაავადებები) და ფთიზიატრი (ტუბერკულიოზის ექიმი) – 6 ნოემბერს ოქტომბერს, 16.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი - 7 ნოემბერს, 16.00-18.00 სთ.

***ბავშვთა დიაბეტოლოგის, ნეფროლოგისა და უროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.***

***კარდიოლოგი – ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 12.00-14.00 სთ.***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31***

**ქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის დასკვნა ქ. ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძეგლის დადგმის პროექტთან დაკავშირებით**

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭომ განმეორებით განიხილა ბ-ნ ვ. ვახანიას მიერ შესრულებული ქ. ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძეგლის აღმართვის პროექტი.

განხილვის შედეგად საბჭოს წევრებმა იგივე მოსაზრება გამოთქვეს, რომელიც ა/წ 13 ივნისის სხდომაზე დაფიქსირდა და ეუწყა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ გერასიმეს. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სრულიად მიუღებლად მიაჩნია აღნიშნული ძეგლის დადგმა როგორც ქ. ზუგდიდის თავისუფლების მოედანზე, ისე რომელიმე სხვა ადგილას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკასა და ტრადიციას (რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ იკონოგრაფიულ უზუსტობებსა თუ აზრობრივ შეცდომებზე).

ავტორის მიერ თავდაპირველ ვერსიაში შეტანილი ე. წ. „ცვლილებები", ანუ უზარმაზარი ზომის ძეგლის მოქცევა ნახევარწრიულ „ნიშაში" არ ცვლის იმ გარემოებას, რომ იგი კვლავაც რჩება ტაძრის სხეულს მოწყვეტილ, დამოუკიდებლად მდგომ მრგვალ ქანდაკე-

პარაკლისის დასასრულს, ახლად დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და მრავალრიცხოვანმა მრევლმა მტკვრის ტალღებს ყვავილები გაატანეს.

### ქართული ღვთისმსახურება შტუტგარტში

3 ნოემბერს დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესის აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით გერმანიის ქალაქ შტუტგარტში, წმინდა ილია მართლის სახელობის ქართულ სამრევლოში კიდევ ერთი ქართული ღვთისმსახურება აღესრულა. წირვა-ლოცვა მღვდელმა თამაზ ლომიძემ შეასრულა.

მეტად სასიხარულოა, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში მრევლის რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

წირვის შემდეგ ჩატარდა სამრევლოს გაფართოებული კრება, რომელზეც შეჯამდა გასული წლის შედეგები და გაირჩა სამრევლოს წინაშე მდგარი აქტუალური ფინანსური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხები. კრებამ აირჩია სამრევლოს გამგეობა.

### ხელდასხმა

4 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ლაშა ჩიქოვანი და სახელად გიორგი უწოდა.

დიაკონი გიორგი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

4 ნოემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა რევაზ კაპანაძე.

დიაკონი რევაზი ადიგენის რაიონის ტაძრებში იმსახურებს.

* * *

10 ნოემბერს ურბნისის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის საკათედრო ტაძარში ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ლუკა ხუნდაძეს.

* * *

11 ნოემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული კახაბერ ქუბიაშვილი.

დიაკონი კახაბერი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

### მონასტრის კურთხევა

13 ნოემბერს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა დირბის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი.

ამავე დღეს მიტროპოლიტმა იობმა დიაკვნად დაასხა ხელი ბერ მატათას (გერაძე).

### დალოცვა

11 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ზედგენიძეების გვარი დალოცა.

## ინფორმაცია

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ენდოკრინოლოგი – 17 ნოემბერს, 15.30-17.30 სთ.;

ანგიოლოგი – 17 ნოემბერს, 15.00-16.00 სთ.;

დერმატოლოგი – 18 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) – 19 ნოემბერს, 14.00-16.00 სთ.;

ალერგოლოგი – 19 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.;

პთიზიატრი, პულმონოლოგი – 20 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი – 21 ნოემბერს, 16.00-18.00 სთ.;

***ბავშვთა დიაბეტოლოგის, ნეფროლოგისა და უროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ***

***კარდიოლოგი – ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა***

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

### სპეც-კურსების „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“-ს მსმენელთათვის

***საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის სა-***

საპატრიარქოს უწყებანი

# ქრონიკა

## ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძრის შესახებ

19 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წერილი გაუგზავნა სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს უფროსს, შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, წერილში აღნიშნულია, რომ 23 ნოემბერს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს, საინგილოს ქართული მოსახლეობა, ტრადიციულად, ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ლოცულობს. ამასთან, ამ დღესთან დაკავშირებით ქურმუხის ტაძარს, ჩვეულებისამებრ, სტუმრობენ საქართველოდან ჩასული მომლოცველებიც. კათოლიკოს-პატრიაქმა ილია II-მ თხოვნით მიმართა შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, რათა მან ხელი შეუწყოს ქართველ მომლოცველებს, დაუბრკოლებლად აღავლინონ ლოცვა ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურება იმ მოტივით შეწყდა, რომ იგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის გამოცხადებული. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს შეახსენა, რომ თბილისის ჯუმა-მეჩეთიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მაგრამ იქ თბილისში მცხოვრები მუსლიმები დაუბრკოლებლად განაგრძობენ მსახურებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი მოქმედი მეჩეთია; – ინგილოებს კი მხოლოდ ორი ქრისტიანული ტაძარი აქვთ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სთხოვს შეიხ-ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, უშუამდგომლოს შესაბამის ორგანოებში, რათა ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში აღდგეს ღვთისმსახურება.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ასევე თხოვნით მიმართა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ბატონ ნამიგ ალიევს, რომ მან ხელი შეუწყოს მომლოცველებს, გიორგობის დღესასწაულზე დაუბრკოლებლად ჩავიდნენ სალოცავად ქურმუხის ტაძარში.

## ბაგრატოვანთა ყრილობა

21 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში შედგა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანადგომთა საკრებულოს II ეროვნულ კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

საინტერესოა, რომ საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანადგომთა საკრებულოს I ეროვნული კონფერენცია შედგა 1917 წლის 21 ნოემბერს.

## გოდერძი ჩოხელის პანაშვიდი

20 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქაშვეთის ეკლესიაში გოდერძი ჩოხელის სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პანაშვიდზე სიტყვა წარმოთქვა. გთავაზობთ ამ სიტყვის სრულ ტექსტს: ***„დღეს საქართველომ უნდა მიაბაროს მშობლიურ მიწას ნეშტი დიდი ადამიანისა, ბატონი გოდერძისა და ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მისი სულისათვის, მისი ცხონებისათვის. დიდია დამსახურება მისი ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე. მე ძალიან ახლოს ვიცნობდი მას და არაერთი საუბარი გვქონია ჩვენ. მე მინდა ვთქვა, რომ მართლაც რჩეული იყო იგი ღვთისა თავისი ბუნებით, თავისი სულიერი სამყაროთი. ის მზად იყო, რომ მკვიდრი გახდეს სასუფევლისა. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული. ჩვენ ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ეს არის მწუხარება მთელი საქართველოსი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.“***

## ხელდასხმა

18 ნოემბერს ახალციხის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე), დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი კარლო სუარიშვილი და სახელად ლონგინოზი უწოდა.

დიაკონი ლონგინოზი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

## დაჯილდოება

16 ნოემბერს ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსმა საბამ (გიგიბერია) სოფელ იანეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, მღვდელ იაკობ ლეკვეიშვილს დეკანოზის წოდება მიანიჭა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

მგალობელთა გუნდის, თამარ ჭოხონელიძის და მის მონაფეთა და სხვა მომღერალთა შესრულებით.

საღამო არაოფიციალური ვახშამით დასრულდა.

## კონფერენცია კათოლიკოს-პატრიარქის ფონდში

27 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ოფისში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ნავთობგაზიანობის სისტემური ანალიზი." კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ ამავე ფონდთან არსებული ნავთობისა და გაზის დროებითი კომისია, რომელიც მუშაობს პროგრამის პროექტზე „საქართველოს ნავთობისა და გაზის საძიებო და მომპოვებელი დარგის განვითარება კომპიუტერული სისტემური მოდელირების, მონიტორინგისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე."

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის წევრმა, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პრორექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა (პროფესიით გეოლოგმა), კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მგელაძემ, ექსპერტ-კოორდინატორმა იური ბახტაძემ, ექსპერტმა ვლადიმერ ლალიევმა, რეფერენტმა მარინე ფაილოძემ.

კონფერენციას ესწრებოდნენ: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის, „კანარგო ენერჯი კორპორეიშენის", „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას", „იორის ველი ნავთობი და გაზის" წარმომადგენლები.

კონფერენციაზე იმსჯელეს საქართველოში ნავთობისა და გაზის მოძიების შესაძლებლობების საკითხების გარშემო.

## ტაძრის კურთხევა

20 ნოემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსმა შიომ (მუჯირი) ახალი ტაძარი აკურთხა.

ახალი გუმბათოვანი ტაძარი წმინდა გიორგის სახელზე აიგო. ტაძრის აღმშენებლები არიან შალვა გოშუა და მიქაელ ჩხარტიშვილი-გოშუა.

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ დეკანოზ ავგუსტინე დუნდუას გარდაეცვალა დედა — ელისაბედი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ელისაბედის სული.

## ხელდასხმა

21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის დღესასწაულზე, კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ ისაიას (ბეჟვაია).

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ დავით როგავას.

***

25 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული გიორგი როგავა.

დიაკონი გიორგი სამების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

## დაჯილდოება

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მღვდელ ვახტანგ სარდლიშვილს დეკანოზის წოდება მიანიჭა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

## ფოტოგამოფენა ქარვასლაში

28 ნოემბერს ქარვასლაში გაიხსნა დიდი საეკლესიო მოღვაწისა წმინდა ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი ქართული მედიცინის ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ფოტოგამოფენის ორგანიზატორები არიან მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი და ქართული მედიცინის საერთაშორისო ფონდი.

ფოტოგამოფენა 30 ნოემბრამდე გაგრძელდება.




**წმინდა მონამე დომიცილას კატაკომბის ფრესკები. რომი. II საუკუნის დასაწყისი.**

ფიული გამოსახულებები.

კატაკომბებს შორის უძველესია წმინდა მოწამეების დომიცილასა და პრიცილას ორი კატაკომბი რომში, რომლებიც მეორე საუკუნის პირველი ათწლეულებით თარიღდება. წმინდა დომიცილას კატაკომბი 13 კმ სიგრძის დერეფნების ლაბირინთს წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა დონეებზეა განლაგებული. გალერეების სივრცე რომის კატაკომბებში საშუალოდ 100–500 კმ-ს აღწევს, სადაც 600-800 ათასამდე სამარხია.

ქრისტიანული ტაძრების მოხსენიებას პირველად ტერტულიანესთან ვაწყდებით. მათ სხვადასხვაგვარად მოიხსენიებდნენ: ღვთის სახლად, სამლოცველოებად, ეკლესიებად, ტაძრებად. პირველი ქრისტიანული ტაძრები ჯერ კიდევ კეთილმორწმუნე იმპერატორ კონსტანტინემდე, ქრისტიანთა დევნის პერიოდებს შორის მშვიდობიან წლებში შენდებოდა. პირველი ქრისტიანული ტაძრები ბაზილიკური ტიპის იყო. ბაზილიკა ბერძნული სიტყვაა და სამეფო სახლს ნიშნავს. როგორც ცნობილია, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი აჭარაში, პირველ საუკუნეში, მოციქულთა დროს აშენდა.

**მარიამ გაგუ**

## ქრონიკა

### საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

ბოლო დროს თბილისში გამოჩნდა ანონიმური ხასიათის პლაკატები სახელწოდებით „მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია (UPF) გიწვევთ თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებს", რომელშიც ადამიანებს ლექციებზე დასწრებას სთავაზობენ.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი მკითხველის ნდობის მოპოვების მიზნით პლაკატის ფოტოზე ერთ-ერთი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის ფოტოცაა წარმოდგენილი (ბუნებრივია, მისი თანხმობის გარეშე.) პლაკატის ბოლოს მითითებულია აღნიშნული ორგანიზაციის კოორდინატები, თუმცა არაფერია ნათქვამი ამ ორგანიზაციის რელიგიური ხასიათის შესახებ.

„მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის" სრული სახელწოდებაა „მსოფლიო სამშვიდობო, სარწმუნებრივი და საერთაშორისო ფედერაცია" (IIFW) და იგი ერთ-ერთი კორეული ტოტალიტარული სექტის „უნიფიკაციის ეკლესიის" (ე.წ. მუნისტები) ორგანიზაციას წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ „მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია" საქართველოში 2005 წლის ოქტომბერში დაფუძნდა და მის პრეზენტაციას თბილისში თვით ამ სექტის ლიდერი სან მიუნგ მუნიც ესწრებოდა (ეს სექტა საქართველოში 1999 წლიდან მოქმედებს).

საპატრიარქოს პრესცენტრი აფრთხილებს მოსახლეობას, რომ თავი შეიკავონ აღნიშნულ ორგანიზაციასთან ურთიერთობისაგან.

### კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ფოთში მიბრძანდება

6 დეკემბერს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრიდან ფოთში ნააბრძანა.

### ტაძრის კურთხევა

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დაბა აგარაში წმინდა გიორგის სახელობის ახალი ტაძარი აკურთხა.

ტაძრის წინამძღვრად მღვდელი პეტრე ხახიშვილი დადგინდა.

* * *

4 დეკემბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ახალაშენებული გუმბათოვანი ტაძარი აკურთხა.

ტაძრის ქტიტორია ვალენტინა ქარდავა; არქიტექტორი — ელგუჯა გოგოხია.

### ხელდასხმა

2 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა ტაბაროკის (კარმელის) მთის მაცხოვრის აღდგომის სახელობის მონასტრის ბერი არსენი (გალდავაძე), ხოლო მღვდლად დაასხა ხელი წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის დიაკონს გიორგი დარჯანიას.

მღვდელი გიორგი დარჯანია ვაზიანის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

27 ნოემბერს ხვილიშას (ასპინძის რაიონი) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ლევან კუტივაძე.

დიაკონი ლევანი თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის (ლურჯი მონასტე-

რი) ტაძარში იმსახურებს.

* * *

2 დეკემბერს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული გოჩა აბესაძე და სახელად გრიგოლი უწოდა.

დიაკონი გრიგოლი მუხიანის წმინდა მირიანისა და ნანას სახელობის ტაძარში იმსახურებს.

**დაჯილდოება**

4 დეკემბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

ბეთანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტრის იღუმენი იაკობი (ბანძელაძე) — მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება და მონასტრის წინამძღვრად დადგინდა;

მამკოდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტრის იღუმენი სვიმონი (სოხაძე) — მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება და მონასტრის წინამძღვრად დადგინდა;

წმინდა იოანე ზედაზნელის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (ოტიაშვილი) — მიენიჭა იღუმენის წოდება, დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით და დადგინდა მონასტრის წინამძღვრად;

ბეთანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტრის მღვდელ-მონაზონი ნაუმი (ვაჭრიძე) — მიენიჭა იღუმენის წოდება და ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს რადიო „ივერიის" თანამშრომელს, ნინო სადღობელაშვილს, გარდაეცვალა მამა — ლევან სადღობელაშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლევანის სული.

## ინფორმაცია

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) — 4 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 7 დეკემბერს, 15.30-17.30 სთ.;

ანგიოლოგი — 8 დეკემბერს, 15.00-16.00 სთ.;

ნევროპათოლოგი, ეპილეფტოლოგი, ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 9 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის) ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 9 დეკემბერს, 14.00-16.00 სთ.;

პთიზიატრი, პულმონოლოგი — 11 დეკემბერს, 16.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 12 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

მამოლოგის (სარძევე ჯირკვლის დაავადებები —პროფესორი გ. ნემსაძე), ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ნევროლოგის, უროლოგისა და გინეკოლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.

***ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31***

**ახალგაზრდობის ცენტრის განცხადება**

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარში) განახლდა „შემეცნებითი საუბრები", რომლებიც გაიმართება ყოველ დღე 15 საათზე, დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**ორშაბათი (10.12.07)** — რელიგია და ფილოსოფია

დიალოგის თემა: „სინდისისა და რწმენის თავისუფლება. მართლმადიდებლობა"

საუბარს წარმართავს დიაკვანი იაკობი (ჩიჩილაძე)

**სამშაბათი (11.12.07)** — ისტორია

დიალოგის თემა: „წმინდა ბარბარე ქართულ ტრადიციაში"

საუბარს წარმართავს დოქტორი ნინო მინდაძე

**ოთხშაბათი (12.12.07)** — სოფლის მეურნეობა

დიალოგის თემა: „სამრეწველო დეკორატიული ფრინველის ბიოლოგიური თავისებურებები, შენახვის, კვებისა და მოშენების აქტუალობა".

საუბარს წარმართავს პროფესორი როზა ნოზაძე, მიხელ ჩიჩაყუა

**ხუთშაბათი (13.12.07)** — ხელოვნება და კულტურა

დიალოგის თემა: „ქრისტიანული ხატის სახისმეტყველება"

საუბარს წარმართავს ნანა ბურჭულაძე

**პარასკევი (14.12.07)** — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა. დიალოგის თემა: „მორწმუნე ექიმი და რელიგიური დახმარება პაციენტისათვის." საუბარს წარმართავს მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

ლექტზე ქართული სუბტიტრებით მიმდინარეობს.

კინოჩვენების დაწყებამდე ფილმის შესახებ ისაუბრა მეუფე ისაიამ. მან აღნიშნა, რომ ამ ნამუშევარში იგი განაზოგადებს პერსონაჟის სახეებს, რადგან „ღვთის მადლით, სწორედ ასეთი თბილი ხალხია გაბნეული მთელ საქართველოში; ეს ადამიანები თავად საქართველოა და მათი ურთიერთობები ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარია."

ფილმის ჩვენება მაყურებლით სავსე დარბაზში გაიმართა და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

### ეპარქიიდან გვატყობინებენ

გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის მრევლმა, ქალაქ გურჯაანის მკვიდრმა ქალბატონმა ეკა ქოროღლიშვილმა შეიძინა და ეპარქიას საჩუქრად გადასცა ქალაქ გურჯაანში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მეტად სასიხარულოა, რომ სახლის ეზოში არის ნატაძრალი. გადმოცემით ცნობილია, რომ აქ მდებარე ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესია ბოლშევიკებმა დაანგრიეს. ნატაძრალი შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს და ქალაქს ზემოდან დასცქერის. ღმერთი შეეწიოს შემომწირველს.

### აღკვეცა

4 დეკემბერს თბილისის თაბორის მთაზე მდებარე ფერისცვალების მამათა მონასტერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფიცხალაიშვილი) ბერად აღკვეცა თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის (ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს ეზოში მდებარე) ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ილია წერეთელი და სახელად ელისე უწოდა.

იმავე დღეს მამა ელისეს იღუმენის წოდება მიენიჭა.

* * *

11 დეკემბერს თბილისის თაბორის მთაზე მდებარე ფერისცვალების მამათა მონასტერში, მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფიცხალაიშვილი) ბერად აღკვეცა:

მარტყოფის ყოველთა წმინდანთა სახელობის, მამათა მონასტრის მორჩილები:

ექვთიმე ნაცვლიშვილი — სახელად ეწოდა თორნიკე, თორნიკე სამხარაძე — სახელად ეწოდა ნერსე;

თაბორის ფერისცვალების მამათა მონასტრის მორჩილები:

იოანე ჩაჩუა — სახელად ეწოდა აბო, გიორგი ბუდულაშვილი — სახელად ეწოდა ლუკიანე;

მცხეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი:

გიორგი გიორგაძე — სახელად ეწოდა ონოფრე.



## ინფორმაცია

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

**„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:**

დერმატოლოგი — 16 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 18 დეკემბერს, 14.00-16.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 19 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

რევმატოლოგი — 20 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

მამოლოგის (სარძევე ჯირკვლის დაავადებები —პროფესორი გ. ნემსაძე), ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ნევროლოგის, უროლოგისა და გინეკოლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ.

**ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31**

### თვალის სნეულებათა კლინიკის საქველმოქმედო აქცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა აწყობს საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო აქციას და პაციენტებს იწვევს უფასო გასინჯვისათვის.

აქცია ჩატარდება ამა წლის 15-დან 28 დეკემბრამდე და 2008 წლის 8-დან 20 იანვრამდე (შაბათ-კვირის გარდა) 12.00 — 15.00 სთ.

**მისამართი: უზნაძის ქ. (ყოფილი კამოს) #103, II სართული.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23 47 42**

### ახალგაზრდობის ცენტრის განცხადება

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარში) განახლდა „შემეც-



## წიგნი დაბადებამდელი ბავშვობის შესახებ

მკითხველმა მიიღო მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული არაჩვეულებრივი წიგნი, რომლის ავტორია ილუმენი ადამი (ახალაძე) — მღვდელმსახური და ექიმი.

„დაბადებამდელი ბავშვობის სიხარული და მწუხარება", როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, „თამარის დროშის" ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული მეორე წიგნია. წიგნების ეს სერია სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდმა „თამარის დროშამ" დააარსა მიმდინარე წელს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს მიუძღვნა.

წიგნი თავისი ხასიათით მეცნიერულ-პოპულარულია. იგი მიძღვნილია იმ პრობლემებისადმი, რომელთა ცენტრში დგას ადამიანი: დედის წიაღში ან ინ ვიტრო მყოფი ბავშვი დაბადებამდე (ჩანასახი, ემბრიონი, ნაყოფი), ორსული ქალი, ბავშვის მამა, სუროგატული დედა, ექიმი-მეანი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი, გენეტიკოსი, სქესობრივი უჯრედების დონორი...




წიგნი არა მარტო მოგვითხრობს თანამედროვე მედიცინის მიღწევების შესახებ ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, არამედ აანალიზებს მათ ღირებულებების განზომილებაში. ამისათვის ავტორი მოიხმობს საკმაო მეცნიერულ, ფილოსოფიურ, სალვთისმეტყველო, მხატვრულ და ბიოეთიკურ მასალას და მოგვიწოდებს, არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომები დაბადებამდელ სიცოცხლესთან მიმართებაში, რასთანაც უშუალოდაა დაკავშირებული თითოეული ადამიანის, ოჯახის, საზოგადოების, ერის და მთელი კაცობრიობის მომავალი.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ მაღაზია „მადლში" (მისამართი – ლესელიძის 11).

## დაჯილდოება

13 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა:

წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის წინამძღვარს, მღვდელ მაქსიმე პაიკიძეს, მისი 60 წლისთავთან დაკავშირებით;

კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს მღვდელ მიქაელ კაპანაძეს, წმინდა ილია თეზბიტელის ტაძრის წინამძღვარს, მღვდელ ნიკოლოზ ჩიტიას, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელ გიორგი გარდიშიანი, დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში.

## ხელდასხმა

16 დეკემბერს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან გაბრიელ ლომიძეს.

მღვდელი გაბრიელი სუფსის ყოველთა წმინდათა სახელობის ტაძარში იმსახურებს.

***

17 დეკემბერს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან მირიან ფირცხალაიშვილს.

მღვდელი მირიანი სოფლებში — წყალწმინდასა და ურეკში იმსახურებს.

## აღკვეცა

18 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, მწუხრის ლოცვის შემდეგ, არქიმანდრიტმა ილიამ (ნასიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: კახაბერ კალანდაძე (სახელად უწოდა ნიკოლოზი) და გიორგი სილაგაძე (სახელად უწოდა ანდრია).

* * *

18 დეკემბერს ძალაანთხევის წმინდა ბასილი დიდის სახ. მონასტერში საგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოსმა ექვთი-

მემ (ლეჟავა) ბერად აღკვეცა დეკანოზი ზურაბ ანთაძე და ეწოდა ილუმენი ბასილი.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი გიორგი ფანცულაია და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მღვდელი გიორგის სული.

### ქეთევან ბაგრატიონის ვაჟი საპატრიარქოს ეწვია

18 დეკემბერს სრულიად საქარტველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოს რეზიდენციაში ქეთევან ბაგრატიონის ვაჟი, პრინცი ლელიო-ნიკოლოზ ორსინი მიიღო.

კათოლიკოს-პატრიარქთან საუბარში პრინცმა გამოთქვა სურვილი, აფხაზეთიდან დევნილებს დაეხმაროს. პრინცმა საქართველოში დიდი რაოდენობით მედიკამენტები ჩამოიტანა.

## ინფორმაცია

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

**„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:**

რევმატოლოგი — 20 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 21 დეკემბერს, 14.30-16.30 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, ბავშვთა ორთოპედი — 22 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 22 დეკემბერს, 15.00-17.00 სთ.;

ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 25 დეკემბერს, 16.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 26 დეკემბერს, 16.00-18.00 სთ.;

მამოლოგი (სარძევე ჯირკვლის დაავადებები —პროფესორი გ. ნემსაძე) — 28 დეკემბერს, 15.00 სთ.

**ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ნევროლოგის, უროლოგისა და გინეკოლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**98 90 12; 8 99 57 65 31**

### თვალის სნეულებათა კლინიკის საქველმოქმედო აქცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა აწყობს საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო აქციას და პაციენტებს იწვევს უფასო გასინჯვისათვის.

აქცია ჩატარდება ამა წლის 15-დან 28 დეკემბრამდე და 2008 წლის 8-დან 20 იანვრამდე (შაბათ-კვირის გარდა) 12.00 — 15.00 სთ.

**მისამართი: უზნაძის ქ. (ყოფილი კამოს) #103, II სართული.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23 47 42**

### ახალგაზრდობის ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, უწმინდესის ალსაყდრებისა და საშობაო დღესასწაულებთან დაკავშირებით, შემეცნებითი საუბრები 24 დეკემბრიდან 21 იანვრამდე დროებით შეჩერდება.

### საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების განცხადება

საშობაო არდადეგებთან დაკავშირებით კრეაციული საზოგადოების სხდომები 2008 წლის 30 იანვრიდან განახლდება.

## საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ. მოილოცოთ წმინდა ადგილები:

**მწვანე მონასტერი-სადგერი-ტიმოთესუბანი** (ხსენებს წმიდა მღვდელმთავრისა სპირიდონ ტრიმიფუნტელისა) 25 დეკემბერი; სამშაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 15 ლ.

**ხირსა-გურჯაანის ყოვლადწმიდა** (ღირსი მამა სტეფანე ხირსელის ხსენების დღე)9 იანვარი; ოთხშაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 15 ლ.

**მომლოცველებს მოემსახურება გიდი**

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:
"ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13

"წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ. 8

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო ივერიის წინ)

**იერუსალიმის წმინდა მიწა-იორდანიის სამეფო** 13.01-20.01. იანვარი საბუთების მიღება 28დეკემბრამდე

**ეგვიპტე** 20 თებერვალი-2 მარტი. საბუთების მიღება 5 თებერვლამდე

**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.,92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 799599; (8 99) 266827**



შირებით საქართველოს სტუმრობდნენ. საიუბილეო ცერემონიალზე ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ კათოლიკოს-პატრიარქს იმ შენობების ნუსხა გადასცა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით საპატრიარქოს კუთვნილება გახდება და უპირველეს ყოვლისა — საპატრიარქო რეზიდენციის შენობა, რომლის საკითხიც დღემდე არ იყო გადაწყვეტილი. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ასევე განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, საპატრიარქოს ბიუჯეტი მომავალი წლისთვის გაორმაგდება და 4 მილიონის ნაცვლად, 9,5 მილიონ ლარს შეადგენს.

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტის ეზოში, წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ნატაძრალის ადგილას ახალი სამლოცველო გახსნა. სამლოცველოს ამშვენებს დავითგარეჯის უნიკალური ფრესკის ასლი, რომელიც არქიტექტორ მერაბ ბუჩუკურის მიერაა შესრულებული. სამლოცველოსთან არსებულ სენაკში გამოიფინა XVIII-XIX სს. ქართული ფერწერული ხატები.

სამლოცველოს ერთ-ერთ სენაკში საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტო-ვიდეო ექსპოზიცია, რომელიც „საპატრიარქოს უწყებანის" თანამშრომელმა ლუარსაბ ტოგონიძემ მოამზადა.

## ხელდასხმა

16 დეკემბერს, ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) დიაკვნად აკურთხა სვანეთის მკვიდრი გიორგი ონიანი.

* * *

17 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაულზე, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი), ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა ლეჩხუმის მკვიდრი ლევან გოლეთიანი.

* * *

19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე,სოფელ ვეჯინის ამაღლების სახელობის მამათა მონასტერში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა, ყოვლადუსამღვდელოესმა ექვთიმემ (ლეჟავა) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი ილია ჩაჩანიძე და სახელად აბიბოსი უწოდა.

* * *

22 დეკემბერს, პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ლადო გურგენიძემ და კულტურის მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ნიკა ვაჩეიშვილმა მოინახულეს გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის სოფელ ვაჩნაძიანის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები. ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკაა და VI-VII საუკუნეებით თარიღდება.სარესტავრაციო სამუშაოებს ასრულებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. აქვე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი, პროფესორი გიორგი რჩეულიშვილი ხელმძღვანელობს.

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 21 დეკემბერს გარდაიცვალა ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიაში მოღვაწე, სოფელ იკოთის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტრის მონაზონი ელენე ბურდული. 23 დეკემბერს ახლადშესვენებულ მონაზონს წესი აუგო ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა ისაიამ (ჭანტურია). მონაზონი ელენე მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული მონაზონ ელენეს სული.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

**„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:**

მამოლოგი (სარძევე ჯირკვლის დაავადებები —პროფესორი გ. ნემსაძე) — 28 დეკემბერს, 15.00 სთ.

ანგიოლოგი — 29 დეკემბერს, 15.00-16.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 30 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.

**ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ნევროლოგის, უროლოგისა და გინეკოლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ.**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**98 90 12; 8 99 57 65 31**